კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნინო კორჟენკო

პატარა ქვეყნების პოზიციონირების პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე

მარკეტინგი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მარკეტინგში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ასოც.პროფესორი რუსუდან დალაქიშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში მიმოვიხილავთ პატარა ქვეყნების წარმოქმნის მიზეზებს და მათ მნიშვნელობას. ვეცდებით გავარკვიოთ რას გულისხმობს პატარა ქვეყნების მცნება. განვიხილავთ მათი განვითარების გზებს და სირთულეებს, რომლებიც გაიარეს საერთაშორისო ასპარეზზე თვითდამკვიდრების და სტაბილურების შესანარჩუნებლად.

ნაშრომი მოიცავს თაბახზე ნაბეჭდ 66 გვერდს. შედგება შესავალის, ოთხი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისგან.

სამაგისტრო ნაშრომში, განხილული იქნება საქართველოს პოზიციონირების პერსპექტივა საერთაშორისო ბაზარზე. რა პოტენციალი გააჩნია საქართველოს თავი დაიმკვიდროს და კონკურენცია გაუწიოს წარმატებულ პატარა ქვეყნებს.

აღნიშნული ნაშრომი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს რა სირთულეების გადალახვა შეიძლება მოუწიოს საქართველოს. როგორი უპირატესობები გააჩნია სხვა ქვეყნებთან შედარებით. არის თუ არა მისი მთავარი ღირებულება გეოგრაფიული მდებარეობა, რომლითაც შეუძლია გახდეს გზაგამტარი, ევროპასა და აზიას შორის.

კვლევის მიზანია გვიჩვენოს საქართველოს პოტენციალი საერთაშორისო ბაზარზე. მისი განვითარების გზები გლობალიზაციის პირობებში თვითდამკვიდრების მიზნით. შესაძლებლობები, რომ გახდეს ცნობადი, ძლიერი, კონკურენტუნარიანი და წარმატებულები საერთაშორისო ბაზარზე.

Annotation

In the presented master's work we will review the reasons for the creation of small countries and their importance. We will try to find out what the commandments of the small countries mean. We will discuss the ways and challenges of their development, which have undergone self-esteem and stability in the international arena.

The work consists 66 of pages printed on A4 size paper. Includes the introduction, four chapters, six subjects, conclusions and used literature.

In the master's work will be discussed, the perspective of Georgia's position on the international market. What is the potential for Georgia to establish and compete with successful small countries.

This work will once again show what challenges can be overcome by Georgia.
What are the advantages in comparison with othe countries? Whether its main value is a geographical location, which can be a viaduct between Europe and Asia.

The goal of research is to show Georgia's potential on the international market. The ways of its development for self-determination in the conditions of globalization. Opportunities to become recognizable, strong, competitive and successful in the international market.

შინაარსი

შინაარსი **4**

შესავალი **5**

1. პატარა ქვეყნები და მათი მახასიათებლები **7**

1.1 რას ნიშნავს პატარა ქვეყნები? **7**

1.2 პატარა ქვეყნების უპირატესობა და ნაკლოვანებები **11**

2. პატარა ქვეყნების მნიშვნელობა საერთაშორისო ბაზარზე **17**

2.1 ბალტიის ქვეყნების მიმოხილვა **17**

2.2 ევროპის მოწინავე პატარა სახელმწიფოები და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო ბაზარზე **29**

3. საქართველო და მისი პოზიციონირების პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე **34**

3.1 საქართველო და მისი პოტენციალი **34**

3.2 საქართველო, თავისუფალი ვაჭრობის ცენტრი ევროპასა და აზიას შორის. **50**

4. კვლევა **54**

5. დასკვნა **61**

6. გამოყენებული ლიტერატურა **64**

შესავალი

თემის აქტუალურობა

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში , როდესაც კომუნიკაციის მაღალი დონე, განვითარბული ტექნოლოგიები და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პირობებია, სახელმწიფოებს შორის საზღვარი ფუნქციას კარგავს. შესაბამისად, ეკონომკურ ძალებს შორის დაძაბულობა იზრდაბა და ჯანსაღი კონკურენციის გარეშე , შესაძლოა საქმე კონფლიქტამდეც მივიდეს. დღეს უკვე მარკეტინგი, წარმოება და კაპიტალდაბანდებები მხოლოდ ეროვნოულობაში არ არის ორგანიზებული, არამედ იგი დანარჩენ მსოფლიოსთან უნდა ინტეგრირდეს.

თანამედროვე მსოფლიოში უმთავრეს მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს. წარსულისგან განსხვავებით, როდესაც პრიორიტეტული ზოგადი წარმატება იყო, მაშინ როცა არ იყო კონკრეტული საკითხები დასმული, რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო ქვეყანა, დღეს ქვეყნის წარმატების დონის განსაზღვრა, თითოეული ადამიანის ფინანსური მდგომარეობით განიხილება. თუმცა მოქალაქის ცხოვრების დონეს, მაინც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური თუ ფინანსური მდგომარეობა განაპირობებს, შესაბამისად ყოველი ადამიანისთვის აქტუალურ თემას წარმოადგენს საკუთარი ქვეყნის წარმატებულობა საერთაშორისო მასშტაბებით. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბაზართან ინტეგრირება, ეს პროცესი კი გაცილებით რთულია პატარა სახელმწიფოებისთვის, ნაშრომში განვიხილე პატარა ქვეყნის პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე.

ნაშრომში მოიცავს მცირე სახელმწიფოების მდგომარეობის მიმოხილვას და მათი განვითარების შესაძლებლობებს, განხილულია თუ როგორ მიაღწიეს მცირე სახელმწიფოებმა დაუჯერებელ წარმატებას განვლილი სირთულეების ფონზე. რა სიძნელეების გადატანა მოუწიათ სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, გლობალური ფინანსური კრიზისებისგან თავის დასაღწევად და არამხოლოდ ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, არამედ მის განსავითარებლად . რა უნდა გააკეთონ მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოებმა საერთაშორისო ბაზარზე დიდ სახელმწიფოებთან კონკურენციის გასაწევად.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია დაადგინოს რა პოტენციალი აქვს საქართველოს საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. რომელი სექტორების პროგრესი განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას. რა არის საჭირო საქართველოს ცნობადობის გასაზრდელად საერთაშორისო ბაზარზე. სად მდებარეობს საქართველო მსოფლიო ბაზრის რუკაზე.

ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოკვეთოს მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის და მომავალი პერსპექტივების შესახებ. სად ხედავენ საკუთარ ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე. რომელი სექტორი ეიმედებათ სხვებთან შედარებით. მსოფლიოს რომელი ქვეყანა მიაჩნიათ ყველაზე წარმატებულად და რა უზრუნველყოფს მათ წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე.

კვლევის საგანი. ნათელი გავხადოთ საზოგადოების მიდგომა საქართველოს პოტენციალის მიმართ. რა დამოკიდებულება აქვს ქვეყნის მოსახლეობას ქვეყნის პერსპექტივების შესახებ. მათი აზრით, რომელ სფეროს უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება და რომელი ნიშა უნდა დავიკავოთ საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას.

კვლევის მეთოდი. კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი, პირადი და ინტერნეტ გამოკითხვის საშუალებით, მოგვეცა შესაძლებლობა, სანდო მონაცემებზე დაყრდნობით, დაგვედგინა ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ქვეყნის პერსპექტივების შესახებ. დაგვეზუსტებინა მათი აზრი კონკრეტული სექტორების პოტენციალზე.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება. კვლევის თეორიულ მნიშვნელობაში მოვიაზრებთ იმ მეცნიერებს, ვინც დაინტერესებულია გაიღრმვოს ცოდნა აღნიშნული მიმართულებით. თეორეტიკოსები შეძლებენ საორენტაციოდ გამოიყენონ აღნიშნული კვლევა და ზოგადი წარმოდგენა შეიქმნან აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

თემის პრაქტიკული დანიშნულებაა, ნათელი გახადოს მცირე სახელმწიფოების და კონკრეტულად საქართველოს შესაძლებლობები, თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზარზე. კვლევით შეუძლია იხელმძღვანელონ იმ პირებმა, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ინვესტიცია ჩადონ საქართველოში, ისინი შეძლებენ აღნიშნული ნაშრომით, აიღონ სწორი მიმართულება და განვითარდნენ პერსპექტიულ სექტორში. ორგანიზაციები რომლებიც უკვე ფუნქციონირებენ ბიზნესის კონკრეტული მიმართულებით, დაინახავენ ახალ შესაძლებლობებს გახდნენ უფრო მრავალფეროვანი ან ფოკუსირდნენ კონკრეტულ სეგმენტზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 66 გვერდისგან, იგი მოიცავს , 4 (ოთხი) თავს და 6 (ექვსი) ქვეთავს. ასევე კვლევას, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას.

თავი 1. პატარა ქვეყნები და მათი მახასიათებლები

1.1 რას ნიშნავს პატარა ქვეყნები?

მე-19 საუკუნე განსაკუთრებით საყურადღებოა ახლად წარმოქმნილი პატარა ქვეყნების მნიშვნელობით. უკვე წლებია მიმდინარეობს კამათი პატარა ქვეყნების მნიშვნელობასა და მათ განსაზღვრებაზე. „პატარა ქვეყნის“ ცნებაში ხშირად მოიაზრებოდა „სუსტი“ და „განუვითარებელი“ თუმცა დღეს უკვე სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ. 21-ე საუკუნეში განსაკუთრებით გაღრმავდა ინტერესი პატარა ქვეყნების მიმართ, კონკრეტულად დიდი ყურადღების ცენტრში მოექცა განვითარებული პატარა ქვეყნები დიდი ისტორიით. ჩატარდა მრავალი კვლევა, წლებია მიმდინარეობს პატარა სახელმწიფოების შესწავლა, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო ბაზარზე და კვლავ აგრძელებენ მცდელობას დაიმკვიდრონ თავი გლობალიზაციის პირობებში.

1945 წლიდან, გაეროს წევრი ორგანიზაციების რაოდენობა 50-დან 193-მდე გაიზარდა. თითქმის 4-ჯერ გაიზარდა მსოფლიოს ქვეყნების რიცხვი, რომელთაგან ორ მესამედი კლასიფიცირდება როგორც პატარა. გაითვალისწინეთ, რომ 70 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა მსოფლიოს პატარა ქვეყნების 77%. მათ შორის ბევრმა განიცადა ტრანსფორმაცია და გახდა დემოკრატიული. ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს რომ 1952 წლიდან 87-იან წლებში ნათლად ჩანს ისეთი პატარა ქვეყნების აღორძინება როგორიცაა საქართველო, ლატვია, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ა.შ.

თუ დავაკვირდებით, აშკარად იკვეთება პატარა ქვეყნების ზრდის ტენდენცია და მათი წარმეტებულობა საერთაშორისო ბაზარზე, რაც ბადებს შეკითხვას, რა გავლენას ახდენს ქვეყნის სიმცირე სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებაზე? შესაძლებელია ეს იყოს უკეთესი ეკონომიკური შედეგების განმაპირობებელი?

აღსანიშნავია, რომ გაიზარდა არამხოლოდ პატარა ქვეყნების რაოდენობა, არამედ შეიცვალა გლობალური პოლიტიკური ეკონომიკა ისე, რომ პატარა ქვეყნებს შესაძლებლობა გაუჩნდათ გამოიწვიონ დიდი ქვეყნები საერთაშორისო ბაზარზე. თუ გავეცნობით გლობალური ვაჭრობის მონაცემებს, ადვილი შესამჩნევია, რომ გლობალიზაციამ გამოიწვია მცირე სახელმწიფოების და ცალკეული საბაჟო ტერიტორიების ზრდა, როგორიცაა დუბაი, ჰონგ კონგი, სინგაპური და ირლანდია. საინტერესოა როგორ უძლებენ პატარა ქვეყნები გლობალიზაციის წნეხს და ძლიერდებიან, მაღალია მათი ინოვაციის გლობალური ინდექსი რომელიც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობისთვის.

პატარა ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს ფინანსური კრიზისის დროს. მათთვის ყველაზე დრამატული პერიოდი იყო 2008 წლიდან 2014 წლამდე. რთულა გააცნობიერო რამხელა სირთულეების გადატანა უწევს პატარა ქვეყანას სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, როდესაც ეკონომიკური მოსაზრება ერთია, ბევრი განზომილებიდან, რომელიც უმნიშვნელოვანესია გადარჩენისათვის. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მრავალი პატარა ქვეყანა აღორძინდა ზუსტად მსოფლიო კრიზისების შემდეგ, გაძლიერდა და ჩამოყალიბდა არა მხოლოდ როგორც პატარა სახელმწიფო, არამედ როგორც პატარა წარმატებული სახელმწიფო რომელიც კონკურენტუნარიანია გიგანტი სახლემწიფოების გვერდით სერთაშორისო ბაზარზე, ეკონომიკურ ჭრილში. აუცილებელია აღნიშნული ტენდენციის გამოკვლევა.

თუმცა ვიდრე მათი წარმატების გზებს და პერსპექტივებს განვიხილავდეთ მნიშვნელოვანია გავერკვეთ რას გულისხმობს პატარა ქვეყნების ცნება რომელსაც მკვლევარები სხვადასხვანაირად განმარტავენ. მაგალითად „როგორც მოსერმა აღნიშნა, აბსოლიტური განსაზღვრება ,,როგორც წესი, ეფუძნება ზღურბლს," და როგორც კი ქვეყანა მაჩვენებლის ზღურბლს გადასცდება იგი აღარ ითვლება სუსტ ან პატარა ქვეყანად.[1] შესაბამისად ეს კატეგორიები ზუსტად ვერ გადმოსცემენ ,,პატარის" ბუნებას. ბიოლის შენიშვნით ,,ბელგია შეიძლება პატარაა საფრანგეთთან მიმართებაში, მაგრამ ლუქსემბურგი პატარა ქვეყანაა ბელგიასთან მიმართებაში და საფრანგეთი პატარა ქვეყანაა აშშ-სთან მიმართებაში."[2]

შესაბამისად უნდა გავითვალისწინოთ , რომ ყველაფერი შედარებითია, ზოგ შემთახვევაში მკვლევარები აღნიშნავენ, რომ „სისუსტის" ან „სიძლიერის" განმაპირობებელი სამხედრო შესაძლებლობებია. თუ ქვეყანას არ შეუძლია სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს მოწინააღმდეგეს იგი ითვლება პატარა და სუსტ ქვეყნად. თუმცა თუ ISAF-ის მაგალითს განვიხილავთ, რომლის მიერ გატარებულ მისიებში ავღანეთის ტერიტორიაზე მონაწილეობს 48 ქვეყანა, მათ შორის ისეთი პატარა ქვეყნებიც როგორიც საქართველოა, რომელმაც ბოლო მონაცემით 1561 სამხედრო გაუშვა სამშვიდობო მისიაში, სადაც 2013 წელს 7 ჯარისკაცი დაიღუპა ჰელმანდის პროვინციაში (ირაკლი აბსანაძე,2013), ძალიან დიდი დანაკარგია პატარა ქვეყნის ცნებისთვის და აღნიშნულ საკითხს სადაოს ხდის.

---

1. Michael W. Mosser, ,,Engineering Influence: the Subtle Power of Small States in the CSCE?OSCE", paper presented at the workshop on ,,Small States and Alliances", Austrian Defense Academy, Vienna, 25-27 November 1999, p. 3
2. Erling Bjol, ,,Small States in International Politics", in Schou et al., Small States, 9.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ სამხედრო ძალა მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია ქვეყნის სიძლიერის განმაპიროებებლად, რადგან არსებობს საერთაშორისო ინსტიტუტები და დიპლომატიური კორპუსის სიძლიერემ შეიძლება გადამწყვეტი როლი იქონიოს ქვეყნის სტატუსის მინიჭებისთვის. ასევე შეცდომაა გეოგრაფიული არეალის, ან მოსახლეობის სიმცირით შეაფასო ქვეყანა და განაჩენად გამოუტანო „პატარას“ სახელწოდება, რადგან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას რომელ ქვეყანას ვადარებთ მას.

კნუდსენი პატარა სახელმწიფოებს განმარტავს როგორც ,,ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არის შესამჩნევად სუსტი სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში.”[3]

როტშტეინი თქმით ,,პატარაა ის სახელმწიფო, რომელიც აღიარებს რომ მას არ შეუძლია მოიპოვოს უსაფრთხოება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, და რომ ის უნდა დაეყრდნოს ძირითადად სხვა სახელმწიფოთა დახმარებას, ინსტიტუტებს, პროცესებს, ან გარემოებებს რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება. ასევე, პატარა ქვეყნის რწმენა საკუთარ უძლურებაში აღიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაბმული სხვა სახელმწიფოების მიერ”.[2]

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, კვლავ მიმდინარეობს მსჯელობა პატრა ქვეყნის ფენომენის შესახებ. გლობალიზაციის პირობებში რთულია ქვეყნები დავანაწევროთ ეკონომიკური და პოლიტიკური მონაცემებით. უფრო მარტივია ეროვნული იდენთიფიკაცია მოხდეს კულტურული მახასიათებლებით, ტრადიციებით, რელიგიით და ასე შემდეგ, თუმცა თუ დავაკვირდებით საზოგადოების მისწრაფებას დასავლური კულტურისკენ, აღმოვაჩენთ რომ ამ შემთხვევაშიც ძნელია გავავლოთ საზღვრები. დასავლური კულტურა სწრაფად იჭრება საზოგადოებაში და იმკვიდრებს ადგილს განსხვავებული კულტურის მქონე სახელმწიფოებში, როგორიცაა მაგალითად ისლამური ქვეყნები სადაც შედარებით ნაკლებად ასრულებენ რელიგიურ კანონებს, ეცვლებათ დამოკიდებულება ალკოჰოლსა და ჩაცმის სტილზე. თუმცა, მეორეს მხრივ იქმნება საფრთხე კულტურული დაპირისპირებისა, მაგალითად ინდოეთში სადაც ძროხა საკულტო ცხოველია, დასავლეთში საკვებად იყენებენ. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ძალიან ინდივიდუალურია კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებაში და კვლლავ გრძელდება მსჯელობა ვიპოვოთ თანაკვეთა მნიშვნელოვან მახასიათებლებს შორის.

---

3. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL3.1.6&d=HASH011d8dcef9e5ffa0469c4593.12&gt=1
4. H. Goldhammer, *The Foreign Powers in Latin America,* (Princeton, Princeton University Press, 1972): 237

რთულია ზუსტად განვსაზღვროთ პატარა ქვეყნის დეფინიცია, მეორეს მხრივ კი მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ მისი ფენომენი. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია შევაჯამოთ მისი თვისებრივი მონაცემები და შევქმნათ თეორიული მოდელი რომელსაც მივუსადაგებთ ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ტერიტორიული სიმცირე, ეკონომიკური არასტაბილურობა, სამხედრო სისუსტე და გაუმართავი პოლიტიკური სტრუქტურა.

ხშირ შემთხვევაში ტერიტორიულად პატარა ქვეყნები მართლაც რთულ მდგომარეობაში არიან, როგორც წესი ისინი არ არიან იმდენად ძლიერები, რომ პოლიტიკური გავლენა მოახდინონ მსოფლიო ურთიერთობებზე. ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით, ისინი იძულებულები არიან მიიღონ ის ფასები რომელსაც დიდი ქვეყნები უწესებენ. შესაბამისად ხშირად მასზე გავლენიან ქვეყნებს არაპროპორციული ზემოქმედება აქვთ. თუმცა ზოგჯერ მცირე ქვეყნები კომპენსირებას ახდენენ ამ ნაკლოვანებებზე, მაღალი ხარისხის მოქნილობისა და ადაპტაციის საშუალებით. შესაძლებელია ესეც ერთ-ერთი განმაპირობებელი იყოს იმ ფაქტისა, რომ მსოფლიო ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისების შემდეგ სწრაფად აღიდგენენ ძალებს და აგრძელებენ განვითარებას.

მცირე ქვეყნებმა ჩვეულებრივ, იციან მათი მოწყვლადობის შესახებ. ისინი უფრო მზად არიან გაითვალისწინონ მხარეებს შორის ინტერესები და ითანამშრომლონ საზღვრებს გასწვრივ სახელმწიფოებთან. განმეორებითი ურთიერთქმედება გადაწყვეტილების მიმღები პირების მცირე ჯგუფს შორის იწვევს ინტერპერსონალური ნდობის დამყარებას. მოკლე დისტანცია რომლიც იძლევა პირადი შეხვედრების შესაძლებლობებს, აუმჯობესებს კომუნიკაციას, რაც განაპირობებს ნდობის ამაღლებას ურთიერთობებში, საბოლოო ჯამში კი იზრდება ქვეყნის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, რის შედეგადაც პატარა ქვეყანა მზადაა წავიდეს კომპრომისებზე და თავიდან აირიდოს შესაძლო კომფლიქტის კატასტროფული შედეგები.

ქვეყნის სიმცირეს არ წყვეტს კონკრეტული ციფრების საკითხი, მნიშვნელოვანია საკუთარი თვითშეგნება და ეკონომიკური გარემო, რომელსაც თავად ქმნის სწორად აღებული გეზით. პატარა ქვეყანა არის ქვეყანა , რომელიც აცნობიერებს ფაქტს, რომ მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს შექმნილ ვითარებაზე.

ამ თვალსაზრისთ პატარა ქვეყნებს ორი არჩევანი გააჩნიათ, იბრძოლონ განვითარებისთვის და გახდნენ გავლენიანები, ან იყვნენ მორჩილები გარემო პირობებისა თუ დიდი ქვეყნების მიმართ. თუმცა, არსებობს მესამე და ბევრად უკეთესი ალტერნატივა: ბრძოლისა და მორჩილების ნაცვლად გამოიყენონ თავიანთი მოქნილობის უნარი, განიცადონ ცვლილებები სხვაზე სწრაფად, ადაპტირება მოახდინონ სწრაფად ცვალებად გარემო პირობებთან.

1.2 პატარა ქვეყნების უპირატესობა და ნაკლოვანებები

პატარა ქვეყნების მთავარი მიზანი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრებაა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა სახელმწიფოებისთვის, რომლის უმრავლესობაც დიდხანს იყო სხვა ქვეყნების დაქვემდებარებაში, ახლა კი მათთვის მნიშვნელოვანია წარმოაჩინოს საკუთარი ეროვნულობა და საერთაშორისო საზოგადოებას გააცნოს თავისი რაობა. დღესდღეობით როცა საერთაშორისო ასპარეზს გიგანტი სახელმწიფოები მართავენ, რთულია აღნიშნული მიზნის მიღწევა. განსაკუთრებით რთულია ქვეყანამ თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, როცა საკმარისად ძლიერი სამხედრო ძალა არ გააჩნია. ამ დროს ერთ -ერთი ძლიერი საგარეო პოლიტიკური მექანიზმი სწორად წარმოებული დიპლომატიური ურთიერთობებია. წარმატებული დიპლომატიის გარეშე წარმოუდგენელია ნორმალური პოლიტიკური თუ ეკონომიკური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება. განსაკუთრებით მცირე , სამხედრო-პოლიტიკური მახასიათებლით სუსტი სახელმწიფოსთვის.

იმისათვის რომ საგარეო საქმეთა უწყებამ გამართულად იმუშაოს, აუცილებელია ფლობდეს ამომწურავ ინფორმაციას სანდო წყაროებიდან. ამისათვის აუცილებელია ქვეყანას გააჩნდეს საერთაშორისო ურთიერთობებთან მომუშავე , მაღალფუნქციური დიპლომატიური აპარატი, რაც დიდი ფუფუნებას წარმოადგენს მცირე სახელმწიფოებისთვის. პატარა ქვეყნების ძალები ძირითადად მხოლოდ თავდაცით ფუნქციას ატარებს და მაქსიმუმ კონტრდაზვერვით საქმიანობას ეწევიან. შეზრუდული ძალების მქონე ქვეყნები იშვიათად ახერხებენ სადაზღვეო საქმიანობა აწარმოონ მასზე ძლიერი ქვეყნების წინააღმდეგ. ა.ენდრიუს აზრით „პატარა ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ძლიერ ქვეყანასთან ურთიერთობისას, დიპლომატიასთან შედარეწბით, სადაზღვეო საქმიანობა მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს.“ [5]

მკვლევარების აზრი იყოფა, როდესაც განიხილავენ რისი იმედი უნდა ჰქონდეს მცირე სახელმწიფოს თუ არა მოლაპარაკებების. ზოგიერთის აზრით მოლაპარაკების წარმოება შეუძლებელია ოკუპანტ ქვეყნებთან, ამ შემთხვევაში მაგალითად მოვიყვანთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რა შეუძლია მცირე ქვეყანას და რა შეუძლია დანარჩენ სამყაროს, თუ არა ის, რომ რუსეთი არ მოამარაგოს სამხედრო იარაღით და შეუზღუდოს შესაძლებლობები.

---

5. ენდრიუ. 1971,69

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ძალის თანაფარდობაზე, რომელიც ვერ გათანაბრდება თუ ქვეყანა არ გახდება რომელიმე კავშირის წევრი. ამ შემთხვევაში მკვლევარების მეორე ნაწილი, კავშირში გაერთიანებსის საფრთხეებს განიხილავს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით უმჯობესია ქვეყანა არცერთ კავშირში არ გაერთიანდეს და დაიტოვოს მანევრირების შესაძლებლობა. რადგან ერთ დღესაც შესაძლებელია კავშირში გაერთიანებულმა დიდმა სახელმწიფოებმა სუსტი სახელმწიფოები შთანთქონ. თუმცა დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, იმას რომ პატარა ქვეყნები გარდაუვალი აუცილებლობის წინაშე დგანან და გადარჩენის მიზნით ისინი იძულებული ხდებიან რომელიმე კავშირის წევრი მაინც გახდნენ.

საფრთხეების მიუხედავად აუცილებელია პატარა სახელმწიფომ მსოფლიოს ნაწილად იგრძნოს თავი, რადგან შეუძლებელია ქვეყანა განვითარდეს დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულ მდგომარობაში, აუცილებელია მან აწარმოოს დიპლომატიური ურთიერთობები და დაიცვას საკუთარი ინტერესები საერთაშორისო ურთიერთობებში. ალექსანდრე რონდელის აზრით , უმეტეს შემთხვევაში რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანება , პატარა ქვეყანის გადარჩენისთვის აუცილებელი პირობაა, რომლის მიღწევაც დიპლომატიური მოლაპარაკებების გარეშე შეუძლებელია. ბოლო წლების განმავლობაში მდიდარი ქვეყნების ზრდა შეინიშნება. 1990დან 2007 წლამდე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებმა მოახერხეს ინფლაციის კორექტირება ერთ სულ მოსახლეზე და მშპ-ს ზრდა საახლოებით 2.3% წელიწადში. 2008 წლიდან 2013 წლამდე, საერთო ზრდა 2%ს შეადგენდა.

მაგრამ განსხვავებულია მდგომარეობა ზოგიერთ პატარა ქვეყნაში სადაც მოსახლეობის რაოდენობა 3.5 მილიონზე ნაკლებია. მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით, დაახლოებით 48 პატარა ქვეყანაში ცხოვრობს 29 მილიონი ადამიანი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ჩაატარა კვლევა, სადაც ნათლად ჩანს მცირე სახელმწიფოების პრობლემები. პირველ რიგში, ისინი ებრძვიან ეკონომიკის მასშტაპებს. წარმოიდგინეთ, რომ მიკრონეზიის ფედერალურ სახელმწიფოებში საჯარო მომსახურების გაწევა უწევთ- 600-ზე მრტი კუნძულისთვის, რომელიც ოკეანეშია მიმოფანტული. მასშტაბური ეკონომიკის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მომსახურების გაძვირება, ქვე-სტანდარტული საჯარო მომსახურება.

მეორე, ვაჭრობა უფრო რთულია პატარა ქვეყნებისთვის. მათი ფიქსირებული ხარჯები მაღალია, მაგრამ ბაზარი მცირეა. ეს კი ვაჭრობის საშუალო ღირებულებას ზრდის.

ამ ორ პრობლემას სამწუხარო შედეგამდე მიჰყავს მცირე სახელმწიფო. პირველ რიგში, საჯარო სექტორში დიდი ფიქსირებული ხარჯები ნიშნავს იმას, რომ პატარა ქვეყანას აქვს დიდი დანახარჯები, მსხვილ ქვეყნებთან შედარებით. 2007 წლიდან 2011 წლამდე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, პატარა ქვეყნების სახელმწიფო დანახარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 9% შეადგენდა, რაც მკვეთრად განსხვავდება დიდი ქვეყნების მონაცემებისგან. ეს ხელს უწყობს სახელმწიფო ვალების გაზრდას და ზედმეტი ზეწოლაა მცირე ქვეყნისთვის. მეორე, გლობალურ ბაზარზე შესვლის მცდელობაში, მცირე სახელმწიფოები ხშირად ფოკუსირდებიან ენერგეტიკის ექსპორტზე ან კარგი მომსახურების სერვისზე, რაც ქმნის საფრთხეს , რომ ქვეყანამ წამგებიანად გაფლანგოს არამხოლოდ ქვეყნის ენერგეტიკული რესურსი, არამედ ქვეყნის მასშტაბით ხელი შეუწყოს იაფი მუშახელის ზრდას, რაც იწვევს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზრდას და შემდეგ მიგრაციის წახალისებას.

მიგრაცია საკმაოდ მტკივნეული თემაა მცირე სახელმწიფოებისთვის. ერთის მხრივ იგი გადაუჭრელი პრობლემა ხდება განვითარებადი ქვეყნისთვის, მეორეს მხრივ კი გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად გვევლინება. კონკრეტულად რომ ავხსნათ რა დადებითი და უარყოფითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის ქვეყნიდან გადინებას, განვიხილოთ რამდენიმე მახასიათებელი.

მიგრანტების უმრავლესობა მაღალანაზღაურებადი სამსახურის საძებნელად მიდის უცხო ქვეყანაში. ანაზღაურებას განაპირობებს ადამიანის უნარი და შესაძლებლობა სარგებელი მოუტანოს ამნაზღაურებელს, თუმცა ხშირ შემთხვევაში პატარა ქვეყნებში არ არის უნარების შესაბამისი ანაზღაურება, ამიტომ ადამიანები მიდიან იმ განვითარებულ სახელმწიფოებში სადაც ანაზღაურება მათი უნარების შესაფერისი ან უფრო მაღალია. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ქვეყნიდან გაედინება ის საზოგადოება რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს საკუთარი ქვეყნის მომავალი. აღნიშნული პირების უნარებს განვითარებული სახელმწიფოები იყენებენ საკუთარი ქვეყნის პროგრესისთვის, ხოლო მცირე სახელმწიფოებში იქმნება უნარების დეფიციტი. შესაბამისად დარჩენილ, ხშირ შემთხვევაში არაკვალიფიციურ კადრს ეზრდება ანაზღაურება, სამაგიეროდ კი მცირდება მწარმოებლურობა და ქვეყანა სავალალო შედეგს იღებს.

ასევე უფრო სავალალოდ მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე, სტუდენტების დიდი რაოდენობით გადინება. ისინი სამშობლოდან მიდიან განათლების შესაძენად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იმ უნარების განსავითარებლად და შესაძენად , რასაც ხშირად საკუთარი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს, იმის იმედით რომ ისინი იპოვიან უკეთეს სამსახურს და იცხოვრებენ უფრო განვითარებულ ქვეყანაში, უკან აღარ ბრუნდებიან. იმის მაგივრად, რომ განვითარებულ ქვეყანაში მიღებული ცოდნა

და გამოცდილება გამოიყენეონ საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ, ხშირ შემთხვევაში ისინი ირჩევენ უფრო მარტივ გზას.

აღნიშნული ფაქტორების გარდა, მიგრაციას გარკვეული სიკეთეც მოაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. უცხოური ვალუტის შემოდინება რომელიც ეროვნული ვალუტის გამყარებას უწყობს ხელს მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოსთვის. ზოგ შემთხვევაში მიგრაციას ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელ ძალადაც მიიჩნევენ, რადგან ფულადი გზავნილები ფინანსური კრიზისების დროს ახდენს რისკების დივერსიფიკაციას. ყველა სექტორში ბრუნავს ფული, რომელითაც მიგრანტები საკუთარ ოჯახებს ეხმარებიან.

თუმცა უდავოა, რომ მხოლოდ მიგრანტების იმედზე ვერ შენარჩუნდება სახელმწიფოებრიობა და როგორც ბევრი მაგალითი გვიჩვენებს პატარა ქვეყნები ხშირად განიცდიან ფინანსურ კრიზისს. ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავის დასაღწევად დროებითი მაგრამ სწრაფი გამოსავალი გლობალური ბიუჯეტის დაფინანსებაა. შედეგად იზრდება ვალი და უფრო დამოკიდებული ხდებიან სხვა ქვეყნების დახმარებაზე. თუ მცირე ქვეყნები ვერ შეძლებენ შეინარჩუნონ სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა, ისინი უფრო დაუცველნი გახდებიან გლობალურ ფინანსურ ბაზარზე.

მსოფლიო ბანკის ახსნით, 2000-იან წლებში ტურიზმის განვითარება ბევრ პატარა ქვეყანას შეეხო. 1995 წლიდან 2008 წლამდე ტურიზმიდან შემოსავალი 50% ით გაიზარდა. მაგრამ 2008 და 2009 წლებში მსოფლიო ტურისტული ბაზარი 10% -ით შემცირდა. მსოფლიო კრიზისმა მოსახლეობის უმრავლესობაზე უარყოფითად იმოქმედა და მცირე ქვეყნებისთვის სადაც ტურიზმი დაახლოებით ექსპორტის 25%-ს შეადგენს, აღნიშნული სექტორიდან შემოსავლების მკვეთრი ვარდნა დიდ პრობლემად იქცა.

მიუხედავად იმისა , რომ მსოფლიო კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა ტურიზმის განვითარებას, იგი უფრო და უფრო მეტ მნშვნელობას იძენს მსოფლიო ეკონომიკაში. 2016 წელის მონაცემით 1.2 მილიარდმა ვიზიტორმა გადაკვეთა საერთაშორისო საზღვრები. გაეროს მსოფლიო ტურისმის ორგანიზაცია ვარაუდობს რომ ერ რიცხვი მომდევნო 6 წლის მანძილზე 1,8 მილიარდს გადააჭარბებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უახლესი მონაცემით მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10% ტურიზმის წილია, ყოველ 10 დასაქმებულზე კი 1 სამუშაო ადგილი ტურიზმის სფეროდან მოდის. თუმცა, უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი რომ, ვიზიტორთა უმრავლესობა მხოლოდ ერთხელ სტუმრობს ქვეყნებს, რაც ერთგვარი გამოწვევის ქვეშ აყენებს ტურიზმზე დამოკიდებულ პატარა ქვეყნებს, მუდმივად განვითარდნენ და მეტი სიახლე შესთავაზოს დამთვალიერებელს, იმისთვის, რომ

სტაბილურად მოხდეს ვიზიტორთა ზრდის დინამიკა და ადამიანებს სურვილი გაუჩნდეთ კიდევ ესტუმრონ ქვეყანას მეგობრებთან ერთად.

დღეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ, ქვეყნებს შორის გამარტივებულმა მიმოსვლამ და ბარიერების შეზღუდვამ დიდი არჩევანი მისცა დაინტერესებულ პირს იმოგზაუროს სხვადასხვა ქვეყანაში. ტურიზმის სექტორში გაძლიერდა კონკურენცია და ბაზარზე გაჩენილი დიდი თუ მცირე მოთამაშე, ცდილობს საკუთარი პოზიცია გაიმყაროს აღნიშნულ სექტორში. იმ ქვეყნებს რომლებსაც ტურიზმი წარმატებულად აქვს განვითარებული, სხვა ქვეყნებისგან გამოირჩევიან იმით, რომ ისინი ვითარდებიან კონკრეტული კურსით. მათ არჩეული აქვთ თავისი ნიშა და ცდილობენ განვითარდნენ იმ მიმართულებით. თუ მცირე ქვეყანა აპირებს ტურიზმის განვითარებას, აუცილებელია განსაზღვროს გრძელვადიანი და მოკლე პერსპექტივები საერთაშორისო ტურისთულ რუკაზე პოზიციის გასამყარებლად. უპირველესყოვლისა, ამისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ხშირ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს გართობისა და დამხმარე ტურისტული ობიექტების მოწყობას. ბოლო წლების განმავლობაში კლიმატის ცვლილებამ იძულებული გახადა ტურისტული ქვეყნები შეეცვალათ გრძელვადიანი გეგმები და ადაპტაცია განეცადათ არსებულ რეალობასთან. გლობალური დათბობის პირობებში არამხოლოდ მოიკლო თოვლმა და გაიზარდა ნალექი. არამედ გახშიდა წყალდიდობების რიცხვი, ქარიშხალმა და გვალვამ დააზარალა ტურისტული სექტორი. საჭირო გახდა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება. თუ მცირე სახელმწიფო აპირებს ტურიზმის განვითარებას ეს სწორედ ის დროა დაიწყოს მოქმედება, რადგან მას შეუძლია იყოს უფრო მოქნილი, ჩამოყალიბდეს უკვე არსებულ პირობებში და მოერგოს ახლად წარმოქმნილ მოთხოვნებს.

თუმცა, სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გარეშე ტურიზმის განვითარება რთული იქნება მცირე სახელმწიფოსთვის. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ბუნებრივი კატაკლიზმები დიდ ზიანს აყენებს აღნიშნული სექტორის განვითარებას. მცირე სახელმწიფოები ვერ შეძლებენ სტაბილურობის შენარჩუნებას თუ არ ექნებათ ძლიერი ეკონომიკა. შესაბამისად ამ მიმართულებით განსავითარებლად გარკვეული წინაპირობები იქნება საჭირო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი გვთავაზობს სხვა შესაძლო განმარტებებს სუსტი ეკონომიკური საქმიანობისთვის, მათ შორის მაღალი ემიგრაციისთვის. კიდევ ერთი მიზეზი არის ვაჭრობის წესები. ზოგიერთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომლის ძირითადი შემოსავალი მოდის ექსპორტ-პროდუქტზე, დაზიანდა ევროკავშირის მიერ გატარებული უახლესი რეფორმებით. მაგალითად 2005 წელს ევროკავშირმა შაქრის ნედლეულზე ფასი შეამცირა 36%ით, 4 წლის განმავლობაში. ეს

დიდი შეზღუდვა იყო შაქრის ექსპორტზე დამოკიდებულ კარიბის ქვეყნებისთვის. ბანანის ბაზარშიც მსგავსი პრობლემა შეექმნა. რა უნდა გააკეთოს აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად პატარა ქვეყანამ?. მავრიკი, რომელიც 1970-იან წლებში მთლიანად შაქარზე იყო დამოკიდებული, დაიწყო საექსპორტო გადამამუშავებელ ზონებში ინვესტირების განხორციელება. აღნიშნულმა ნაბიჯმა მკვეთრად გააუმჯობესა ფიანსური მონაცემი. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება და ღირსეული მიზანი. მაგრამ, ის ქვეყნები რომლებსაც არ გააჩნიათ საექსპორტო პროდუქტი, ან ვერ ახერხებს იყოს მოქნილი საერთაშორისო ცვლილებებთან, როგორ უნდა შეძლოს თავი დააღწიოს სიღარიბეს გლობალურ პირობებში.

მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის როლი უზარმაზარია ქვეყნის ფინანსური კრიზისისგან გამოსაყვანად. ეროვნული ეკონომიკის ხერხემალი ქვეყნის სწორი პოლიტიკაა ბიზნესთან მიმართებაში. აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს ბიზნეს სექტორის დამოუკიდებლობა და ხელი შეუწყოს მწარმოებლურობის ამაღლებას. მცირე და საშუალო საწარმოები განსაკუთრებით შესაფერისია პატარა ქვეყნებისთვის, სადაც მცირე ინვესტიციითაც შესაძლებელია გაიზარდოს სამუშაო ადგილები და შემცირდეს სიღარიბე. მნიშვნელოვანია ქვეყანამ ხელი შეუწყოს ახალი სამეწარმეო ნიჭის განვითარებას და ახალი ბიზნესის შექმნას, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის უზრუნველყოფას. სახელმწიფომ სისტემატურად უნდა განახორციელოს სიღარიბის დაძლევის ღონისძიებები. ეროვნული ეკონომიკის ზრდის დაჩქარების მიზნით საჭიროა მთავრობამ შეიმუშაოს სიღარიბის დაძლევის სტრატეგია მიკრო და მაკრო დონეზე. იქიდან გამომდინარე რომ მცირე და საშუალო ბიზნესში ინვესტირების კაპიტალი შედარებით დაბალია, სახელმწიფომ მოსახლეობას უნდა გაუმარტივოს პროცედურები. შემცირებული გადასახადები და მცირე ბიზნესს უპირატესობას მისცემს გაზარდოს საციცოცხლო ციკლი. მიზანმიმართულად აწარმოოს მოლაპარაკებები მოკავშირე ქვეყნებთან, რათა მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება , ინვესტორების მოზიდვა.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რამდენი უპირატესობა და ნაკლოვანება აქვს პატარა ქვეყანას. მნიშვნელოვანია მცირე სახელმწიფოს მმართველმა ძალამ კარგად შეისწავლოს საკუთარი ქვეყნის რესურსები და საერთაშორისო ბაზრის პირობები, იმისათვის, რომ გლობალიზაციის პირობებში თავიდან აირიდოს შესაძლო საფრთხეები და მაქსიმალურად გამოიყენოს ქვეყნის რესურსი.

თავი 2. პატარა ქვეყნების მნიშვნელობა საერთაშორისო ბაზარზე

2.1 ბალტიის ქვეყნების მიმოხილვა

ბალტიისპირეთში სამი პატარა ქვეყანა მდებარეობს, რომლის საერთო ფართობიც 174 ათასი კვადრატული მეტრია. ეს ქვეყნებია: ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. სამივე ქვეყნის მოსახლეობა 8 მილიონს არ აღემატება. გარდა იმისა რომ აღნიშნულ ქვეყნებს ბალტიის ზღვა ესაზღვრებათ და გეოგრაფიული მდებარეობით ახლოს არიან ერთმანეთთან, მათ საერთო წარსულიც აერთიანებთ. ლიტვა , ლატვია და ესტონეთი ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქვეყნები არიან და სსრკ-ში ყოფნის პერიოდში მათი ძირითადი დატვირთვა საგარეო ვაჭრობის სატრანსპორტო მომსახურება იყო, რომლითაც სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი მყარდებოდა სსრკ-და და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ბალტიისპირეთის ქვეყნები დასავლეთთან დამაკავშირებელ საზღვაო კარს წარმოადგენდა , რომლის დახმარებითაც უკავშირდებოდა მსოფლიო ოკეანეს.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს ისტორიული საერთო ბევრი აქვს. სამივე ქეყანაში ბატონობდნენ შვედები და დანიელები, ვიდრე XVIII სკ-ში ჩრდილოეთის ომის შემდეგ, რუსეთის შემადგენლობაში შევიდოდა. მას შემდეგ რაც საბჭოთაკავშირი დაიშალა შეიქმნა რამდენიმე პატარა ქვეყანა , რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა და დაიწყეს გადარჩენისთვის ბრძოლა, მძიმე წარსულიდან აღორძინებას პატარა ქვეყნები განსხვავებული გზებით ცდილობდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების ბუნებრივ -ეკონომიკური პირობები ერთნაირია და მათი რელიეფიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მათი მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციაც მსგავსია ერთმანეთისა . წარმოების ძირითად დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. კონკრეტულად მერძეული მესაქონლეობა და ბეკონის წარმოებაა განვითარებული. მემცენარეობას ძირიტადად პირუტყვის გამოსაკვებად იყენებენ და დამხმარე დარგს ეკუთვნის.

ლიტვა , ლატვია და ესტონეთი 2004 წელს გაწევრიანდნენ ევროკავშრში. რის შემდეგაც მსოფლიო კრიზისის მიუხედავად 3013 წლამდე მათმა ეკონომიკურმა მაჩვენებელმა რეკორდული ზრდა განიცადა. კონკრეტულად : ესტონეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 102%-ით გაიზარდა, ლიტვის 134%ით. ლატვიის 152%-ით. ვიდრე ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირის წევრები გახდებოდნენ მათი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი არ აღემატებოდა 10%-ს. აღსანიშნავია რომ მანამ არცერთ ქვეყანას არ უჩვენებია ამდენად კარგი შედეგი ევროკავშირის ზონაში, კონკრეტულად 2004-2013 წლის მონაცემებს თუ დავაკვირდებით დანარჩენი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდა 2,8% არ აღემატებოდა. ბალტიის ქვეყნები უსწრებენ ისეთ ქვეყნებს როგორიცაა

ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ხორვატია და პოლონეთი. ესტონეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შევიდა მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკებს შორის. ხოლო მსოფლიო ბანკმა ბალტიის სამივე ქვეყანა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების სიაში შეიყვანა. იმის გასარკვევად, განვლილი სირთულეების ფონზე, როგორ მიაღწიეს აღნიშნულმა ქვეყნებმა ასეთ წარმატებას, ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

ლიტვა

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მოწინევე ქვეყანას წარმოადგენს ლიტვა. მან დამოუკიდებლობა 1990 წელს მოიპოვა და ისეთივე სირთულეები გადაიტანა როგორც მრავალმა სხვა პატარა სახელმწიფომ რომელიც ერთ დროს სოციალისტურ კოლონიას ეკუთვნოდა. თუმცა შეძლო მოკლე ხანში არამხოლოდ თავი დაეღწია სიღარიბისათვის, არამედ მაგალითი გამხდარიყო ბევრი სხვა ახალგაზრდა ქვეყნისთვის, რომელებსაც დღესაც ეტყობა წარსულის მძიმე კვალი.

ლიტვა ბალტიისპირეთის მცირე დამოუკიდებელ ქვეყანას წარმოადგენს , რომლის ტერიტორია 63.2 ათასი კვ.მ,-ია, მისი მოსახლეობა კი 3.8 მილიონს აღწევს. დედაქალაქი ვილნიუსია. სახელმწიფო ენა ლიტვური.

მე-19 საუკუნემდე ლიტვის მოსახლეობის 84% სოფლად ცხოვრობდა და განვითარებული იყო აგრარული მეურნეობა. ამას ხელს უწყობს გარემო პირობებიც რადგან ძირითადი ტერიტორია ვაკეა, 1900 წლიდან დაიწყო კაიტალისზმის დამკვიდრება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც ვითარდებოდა ინდუსტრიული შრომა, პარალელურად ზრუნავდნენ სხვა დარგების განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის დროს, ლიტვაში წამყვან დარგებს მიეკუთვნებოდა : მანქანათმშენებლობა , ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მეტალურგია და კვებითი მრეწველობა. კარგად იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის კონკრეტული დარგები: მეღორეობა, მეფრინველეობა და რძის პროდუქტების წარმოება.

ყველაზე დიდი ცვლილება ლიტვის ეკონომიკაზე განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლამ 1991 წელს, რომელმაც გაცილებით დიდი ზიანაი მიაყენა ლიტვის ეკონომიკას , ვიდრე მეზობელ ლატვიასა და ესტონეთს. ეს გამოწვეული იყო ლიტვის გეოგრაფიული და ისტორიულ -კულტურული ფაქტოებიდან გამომდინარე, რადგან იგი ძალიან იყო დამოკიდებული საერთო-საკავშირო ეკონომიკაზე. აქედან გამომდინარე ქვეყანაში დაიწყო ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილურობა. იგი მზად არ აღმოჩნდა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის, ამიტომ საჭირო გახდა რეფორმები, რომლის პარალელურადაც, მრეწველობასა და სოფლის

მეურნეობაში დაიწყო მწარმოებლურობის დაცემა. უმუშევრობის მაჩვენებელი 4.5%-იდან 12.5%-მდე გაიზარდა. ჰიპერინფლაციამ კი 1992 წელს 1.400%-ს მიაღწია.

  თუმცა, 1990 წლის ბოლოდან უკვე ჩანს ლიტვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და იგი უერთდება ევროპის კავშირს. მას შემდეგ რაც ლიტვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი გახდა, მან მიიღო დახმარება 300 მლნ აშშ დოლარის რაოდენობის სესხი. 1992 წელს კი შემოიღეს დროებითი ვალუტა, ტალონი. 1993 წელს კი, მსოფლიო ბანკის დახმარებით იგი ჩაანაცვლა ლიტამ, რის შემდეგაც ეკონომიკური სტაბილურობა უფრო ძლიერდებოდა. ინფლაციის დონემ ნელი დაღმასვლა დაიწყო. თუმცა ლიტვის უმთავრეს ინტერესს განაპირობებს დასავლურ სტრუქტურებში გაერთიანება: ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, ბალტიის ზღვის ქვეყნების კავშირი.

  დამოუკიდებლობის პირველ წლებში ეკონომიკური არასტაბილურობიდან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტი ლიტვაში გაცილებით დაბალი იყო ვიდრე სხვა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. 1994 წელს როცა (მშპ)მ ზრდა დაიწყო და ქვეყანაში უკეთესი მომავლის განწყობა გაჩნდა, 1998-1999 წლებში მომხდარმა რუსეთის კრიზისმა ისევ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. მიღებულმა დარტყმებმა საკმაოდ შეასუსტა ლიტვის ეკონომიკა , მაგრამ გაუძლო და გადალახა სირთულეები, რის შემდეგაც მისმა ეკონომიკამ დაიწყო აყვავება. 1995 წლიდან 2005 წლამდე გაორმაგდა საგარეო ვაჭრობა, ექსპორტმა 2005 წელს 27.1% მიაღწია, იმპორტმა კი 25%. დაიწია უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 1.31 მლნ ევრომდე და განაგრძობდა კლებას. ლიტვიდან ექსპორტირებული საქონელი ძირითადად რუსეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში გადის. იმპორტი კი ძირითადად რუსეთსა და გერმანიიდან ხდება. (მშპ)მ7%ით დაიწყო ზრდა 2007-2009 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე. 2008 წელს მშპ შეადგენდა 111 მლრდ ლიტს რომელიც სამჯერ აღემატებოდა 1999 წლის მაჩვენებელს.

ლიტვის მთლიანი შიდა პროდუქტი 1990წლიდან _ 1999 წლამდე

წელი	**1990**	**1991**	**1992**	**1993**	**1994**	**1995**	**1996**	**1997**	**1998**	**1999**
მილიარდი ლიტი	0.13	0.14	3.4	11.6	16.9	26.0	32.7	40.0	44.7	43.7
მილიარდი ევრო						5.0	6.5	8.8	9.9	10.2
ერთ სულ მოსახლეზე (ლიტი)	36	112	921	3.147	4.622	7.152	9.090	11.187	12.594	12.391
ერთ სულ მოსახლეზე (ევრო)				673	980	1.383	1.814	2.471	2.803	2.901
ზრდა (რეალური,წინა წელთან შედარებით, პროცენტებში)		-5.7	-21.3	-16,2	-9.8	3.5	5.1	8.5	7.5	-1.5

წელი	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**
მილიარდი ლიტი	45.7	48.6	52.1	57	62.7	72.1	82.8	98.1	777.4	-
მილიარდი ევრო	12.4	13.6	15.5	16.5	18.2	20.9	24.0	28.4	32.3	-
ერთ სულ მოსახლეზე (ლიტი)	13.070	13.971	15.010	16.490	18.249	21.105	24.393	29.073	33.167	-
ერთ სულ მოსახლეზე (ევრო)	3.533	3.897	4.337	4.776	5.285	6.113	7.065	8.420	9.606	-
ზრდა (რეალური,წინა წელთან შედარებით, პროცენტებში)	4	6,7	6.9	10.2	7.4	7.4	7.8	8.9	3.2	-4.8

ლიტვის ეკონომიკა სტაბილურობას ინარჩუნებდა ვიდრე 2004 წელს იგი არ გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა. 2004 წლიდან ეკონომიკური კრიზისის მიუხედავას 2013 წლამდე ლიტვის საბიუჯეტო მონაცემმა რეკორდული ზრდა განახორციელა. მთლიანი შიდა პროდუქტი 133% ით გაიზარდა. ლიტვის ეკონომიკა 8.2 % ით იზრდებოდა რაც ამ პერიოდიში ევროკავშირის სხვა წვერ ქვეყნებთან შედარებით 6%ით მაღალი იყო. ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელმა ლიტვაში 31.9 %-ით დაიწია. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, მაგრამ მან შეძლო 2013 წლის მონაცემით ინფლაცია 1.2%-ზე მაღლა არ ასულიყო. [6]

ყოველივე ამას ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაძლიერება, რომელიც ლიტვამ 36%-ით გაზარდა ევროკავშირში გაერთიანების შემდეგ. წარმოების გაძლიერებამ, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელის შეწყობამ ლიტვაში საგრძნობლად შეამცირა უმუშევრობის დონეც. 2004-2008 წლის მონაცემით ლიტვაში უმუშევრობა 12.6% დან 4.3%-მდე შემცირდა. მსოფლიო კრიზისამდე საბიუჯეტო დეფიციტი სტაბილურად მცირდებოდა, თუმცა კრიზისმა მდგომარეობა ცოტა დაამძიმა და 2013 წელს საბიუჯეტო დეფიციტი ლიტვაში -2.2%-ი შეადგინა. მიუხედავად ამისა ლიტვის მონაცემი ევროკავშირის სხვა 18 ქვეყანას ჯობნის.

6. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

ლატვია

ლატვიის რესპუბლიკა ჩრდილოეთ ევროპაში მდებარეობს, მას ესტონეთი, ლიტვა, რუსეთი , ბელარუსი და შვედეთი ესაზღვრებიან. დედაქალაქია რიგა. ოფიციალური ენა ლატვიურია. ვალუტა- ევრო. ეგი ევროპის კავშირში ყველაზე ნაკლებად დასახლებული ქვეყანაა და მისი მოსახლეობა 2 070371 ადამიანს შეადგენს. 1918 წლიდან 1940 წლამდე ლატვია დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, შემდეგ კი შეუერთდა სსრ კავშირს. 1991 წელს კი კვლავ დაიბრუნა დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 20 წლის განმავლობაში ლატვიის ეკონომიკაში ფუნდამენტური ცვლილებები მოხდა: სოციალისტური და ბაზარზე დაგეგმილი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ლატვიამ დაკარგა უზარმაზარი შიდა საბჭოთა ბაზარი. ეს დაახლოებით უდრიდა 400 ათას მომხმარებელს. რამაც, ობიექტურად გამოიწვია ეკონომიკური ცვლილებები მთელ სტრუქტურაში. სოფლის მეურნეობის და მრეწველობი ნაცვლად, მისი წამყვანი დარგი ფოლადის ინდუსტრია გახდა, რომელიც 2009 წელს ლატვიის მთლიანი შიდა პროდუქტის 77% ს შეადგენდა.

არსებითად , ლატვიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მომსახურების ისეთ სფეროშია დასაქმებული , როგორიცაა : ვაჭრობა, ტრანსპორტი, ფინანსები, უძრავი ქონება, განათლება, ჯანდაცვა, სახელმწიფო მართვა და დაცვა, სასტუმრო, სატრანსპორტო, საფინანსო-ექსპორტის მიმართულებითაა დასაქმებული, მაგრამ აღნიშნულმა სფეროებმა ვერ აანაზღაურეს სოფლის მეორნეობისა და მრეწველობის სექტორში განცდილი კრახი, განსაკუთრებისთ მსოფლიო კრიზისის დროს. ვაჭრობა ეკონომიკის წამყვან სექტორად იქცა, რომელმაც შექმნა ყველაზე დიდი ნავთობპროდუქცია, რომელშიც უმუშევართა უმეტესობა დასაქმდა.

ლატვია არის პატარა სახელმწიფო, ნედლეულისა და ენერგორესურსების გარეშე, ამიტომ იძულებულია დამოკიდებული იყოს იმპორტზე, სხვანაირად შიდა ბაზარი ვერ განვითარდება. 1994 წლიდან 2007 წლამდე იგრძნობოდა სავაჭრო დეფიციტი, რასაც მხოლოდ უცხოური ინვესტიციები და სესხები აბალანსებდა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1990 წელს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ლატვიის ეკონომიკის საფუძველს ატარებდა: ლატვიაში შექმნილი ყველა ღირებულების 56.5% აღნიშნულ სექტორზე მოდიოდა , სადაც მოსახლეობის 44.3% დასაქმდა. 1996 წელს, როდესაც მშპ-ის შემცირება შეჩერდა, ეს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაზეც აისახა ღირებულების 30.1%ით. მაგრამ 2008 წელს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ღირებულებებში შეტანილი წილი ოთხჯერ შემცირდა.

გადამწყვეტი ფაქტორი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სადაც არამხოლოდ პროდუქტის წარმოება იყო მნიშვნელოვანი, არამედ გაიყიდვა. მენეჯმენტის

კოლექტიური ფორმების სწრაფმა აღმოფხვამ გამოიწვია ბევრი მცირე კერძო მეურნეობის წარმოშობა, რომელთა უმეტესობა მზად არ იყო სასაქონლო პროდუქციის წარმოებისთვის. მომდევნო წლებში მოხდა ფერმების მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდაცია.

ლატვიაში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა სპეციალიზირებულია კლიმატური პირობების მიხედვით, მონეტარული თვალსაზრისით მეცხოველეობას ორჯერ მეტი შემოსავალი მოჰქონდა მოსახლეობისთვის, ვიდრე სხვა მოსავლის წარმოებას. თუმცა საბჭოთაკავშირის ბაზრის დაკარგვის შედეგად, პირუტყვის პროდუქტის წარმოებაზე მოთხოვნა შემცირდა, რამაც გამოიწვია მიწათმოქმედებით შემოტანილი მოგების წილის ზრდა. ბოლო წლებში მთლიანი მარცვლეული მოსავალი გაიზარდა ევროკავშირის 27 ქვეყანაში, ლატვიაში ზრდამ - 31 ჰექტარს მიაღწია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო ასეთი პატარა ქვეყნისთვის. თუმცა უმსხვილესი ლატვიური საწარმოების დაკარგვა , ქვეყნის ლიდერების მთავარ სტრატეგიულ შეცდომას წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ მიეღოთ საჭირო ზომები არსებული რესურსის შესანარჩუნებლად, მაშინ როდესაც ლატვიის საწარმოებს ჰქონდათ წარმოების საშუალებები და შესაძლებლობები, მაღალკვალიფიციური ინჟინრები და მუშაკები, საწარმოები გაიყიდა 1 დოლარად. რესურსის სწორად გამოსაყენებლად საჭირო იყო მხოლოდ ინვესტორების მოძიება, შედეგად კი ათობით ათასი ადამიანი არ გახდებოდა უმუშევარი და ლატვიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტისგან მილიონობით შემოსავალი მიიღებოდა. ამის ნაცვლად, სახელმწიფომ სერტიფიკატები გადასცა, ხოლო აუქციონები ჩატარდა საწარმოების პრივატიზების მიზნით. ქვეყნის ბაზარზე კი უცხოური სავაჭრო კომპანიები გამოჩნდნენ.

სამრეწველო პოლიტიკის საკითხზე უმოქმედობის მიუხედავად, დღესდღეობით, საწარმოები საკვებისა და სასმელის, ცემენტის, მედიკამენტების, ხის და პარფიუმერული წარმოების წარმატებით ფუნქციონირებას ახდენენ. მაგრამ ეს არ მოხდა სახელმწიფოს ქმედებებისა და მხარდაჭერის წყალობით. ლატვიის მთავრობისა და ეკონომიკის სამინისტროს უმეტესობამ, სავარაუდოდ, არც კი იცოდა, რა იყო სახელმწიფო საწარმოო პოლიტიკა. შედეგად, ინდუსტრიაში შექმნილი ღირებულების წილი 1990 წელთან შედარებით სამჯერ მეტად შემცირდა და ლატვიაში (14%, მათ შორის ენერგეტიკის ჩათვლით) სულ დამატებული ღირებულების მხოლოდ 11% შეადგინა.

რეგიონული განვითარების სამინისტროს არსებობის მიუხედავად, სახელმწიფომ აქტიური ნაბიჯები არ გადადგა სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ინვესტორების მოსაზიდად. ხუთი წლის განმავლობაში - 1999 წლიდან 2003

წლამდე - ლატვიაში შედარებით დაბალი ინფლაცია იყო, არა უმეტეს 3%, მაგრამ 2004 წლიდან ინფლაციის მაჩვენებელმა 6% შეადგინა. 2007 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 10% -ზე მეტი იყო, ხოლო 2008 წელს - 15% -ზე მეტი. ბოლო წლებში ხელისუფლება არ ებრძოდა ინფლაციას, რადგან თუ ინფლაციის დონე ამაღლდება ბიუჯეტის დონიდან, მაშინ ბიუჯეტში გამოჩნდება დამატებითი შემოსავლები, რაც წლის ბოლოს წარმატებით იყოფოდა სპონსორებსა და პარტის წევრების მიმართულებით ფულადი სახსრების მოძრაობის გზით. ქვეყანა იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტისა და ინფლაციის თვალსაზრისით, შედეგად იზრდება პენსიები, საჯარო ხელფასები და ამომრჩეველთა სიყვარული.

სახელმწიფო სექტორში ხელფასების ზრდა განისაზღვრა ბიუჯეტის შესაძლებლობებითა და მთავრობის პოპულისტური ქმედებებით, რამაც ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის ზრდის გამო სახელმწიფო მოხელეთა ხელფასები გაზარდა. ამავდროულად, პრაქტიკულად, რეფორმები არ ჩატარებულა განათლების, მედიცინისა და საჯარო ადმინისტრირების სფეროში, არ იყო გაზრდილი საჯარო სექტორის ეფექტურობა. კერძო სექტორში არ იყო ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა, მხოლოდ რამდენიმე სამრეწველო საწარმოში პროდუქტიულობის ზრდამ ხელფასიც გაიზარდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ხელფასის ზრდისა, ხელფასის დონე ლატვიაში კვლავ მნიშვნელოვნად არის ევროკავშირის ხელფასების უკან, და არა მხოლოდ ევროზონის მდიდარ ქვეყნებში.

ლატვიაში ყველა მუშაკი იხდის შემოსავალის და სოციალურ გადასახადებს, მაგრამ გადასახადის გადამხდელები ორ ჯგუფად იყოფა. კერძო სექტორში მომუშავე კერძო პირები არიან გადასახადის გადამხდელები პირველ დონეზე: იღებენ ხელფასებს და გადასახადებს იხდიან საწარმოების ეკონომიკური საქმიანობისგან მიღებული გადასახადებისაგან, სადაც ისინი არიან დამსაქმებლები, იხდიან სოციალურ გადასახადს, საგადასახადო მოგებას, სამრეწველო შენობებისა და სხვა გადასახადებს.

მეორე დონის გადამხდელები საჯარო სექტორში მუშაობენ, ისინი დაახლოებით 25% არიან, მათი შემოსავლის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად მუშაობს კერძო სექტორი. ეს არის ბიზნესი, გადასახადების გადახდა, რაც ქმნის ფინანსურ პირობებს საჯარო სექტორის წარმატებული მუშაობისათვის. ბიზნესის განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნა, გადასახადის გადამხდელთა მაქსიმალური მხარდაჭერა, არის ნებისმიერი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა. დამოუკიდებელი ლატვიის ლიდერების უმრავლესობა, ცუდად იყო გათვითცნობიერებული სახელმწიფოსა და ეკონომიკის განვითარებაში, ისინი მიიჩნევდნენ რომ მათი ძირითადი ამოცანა იყო ფულადი ბიუჯეტის ხარჯვა, რამაც ეკონომიკას სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. ახლა მხოლოდ ეკონომიკური

პოლიტიკის რადიკალურმა ცვლილებამ შეიძლება მიიყვანოს ქვეყნის ეკონომიკა გრძელვადიან პერსპექტივამდე.

თუმცა დღეს უკვე როცა ლატვია ევროკავშირის წევრი ქვეყანაა- მას აქვს წვდომა მსოფლიოში ყველაზე დიდ ბაზართან. ლატვიამ სწორად გამოიყენა რესურსები და მკაცრი ფინანსური დისციპლინით 2008 წლის კრიზისს მარტივად დააღწია თავი. მთავრობამ შეასრულა ყველა ვალდებულება საერთაშორისო კრედიტორებთან მიმართებაში. 2011-2013 წლებში ლატვიის ეკონომიკა ნორმალურ რეჟიმში დაბრუნდა. 2014 წლის ეროვნული საკრედიტო რეიტინგი დასტაბილურდა. იმავე წელს ლატვიაში ყველა ბანკმა ევროპის ცენტრალური ბანკის სტრესული გამოცდა ჩააბარა.

ლატვიის ეკონომიკას ოთხი სექტორი ამუშავებს - სოფლის მეურნეობა, ქიმიური მრეწველობა, ლოგისტიკა და ხის პროდუქცია. სხვა მნიშვნელოვან სექტორებში შედის ტექსტილის მრეწველობა, კვების გადამუშავება, საინჟინრო და მწვანე ტექნოლოგია. ნაყოფიერი ნიადაგი და ზომიერი კლიმატი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს ტრადიციული ლატვიის ინდუსტრიაა, რომელიც დღემდე აქტუალურია. მარცვლეულის წარმოება მთლიანი სექტორის მესამედია. რძის პროდუქტებმა და თაფლმა მაღალი ღირებულების დამატებითი საექსპორტო პროდუქტის ნიშა დაიკავა. ქვეყნის ნახევარი მკვრივი ტყეებითაა დაფარული, რომელთაგან ზოგიერთი მოჭრილი და ექსპორტირებულია.ხის პროდუქცია ლატვიის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილია. სპეციალიზებული ბუნების რეზერვები, სახელმწიფო ტყეები და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიები ინარჩუნებენ ბალანსს ბუნებისა და მეწარმეობის ინტერესებს შორის.

მისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო ლატვიაში კარგად არის განვითარებული ლოჯისტიკა. ქვეყნის პორტები, რკინიგზები და გზები მარტივად უკავშირდება ევროპას და დასავლეთიდან აღმოსავლეთს. მაღალტექნოლოგიური ელექტრონიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და დიზაინი ლატვიის ეკონომიკის ახალი წარმატებებია. ლოგისტიკისა და კავშირგაბმულობის სფეროში მოწინავე ინფრასტრუქტურა შექმნილია ბიზნესის ფუნქციონირების, პროდუქტებისა და მომსახურების უფრო კონკურენტუნარიანობისთვის.

2018 წელს მსოფლიო ბანკისა და ევროპის ცენტრალური ბანკის პროგნოზით, საშუალო ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 4% მიაღწევდა, მაგრამ რეალურმა შედეგმა პროგნოზს გადააჭარბა და 2018 წელს ლატვიის ეკონომიკა 5% -ით გაიზარდა.

როგორც რუსეთში აცხადებენ, სამინისტროს პროგნოზით, რომელიც 2022 წლამდე ლატვიის სტაბილურობის პროგრამაში შედის, 2019 წელს ლატვიის მთლიანი შიდა

პროდუქტი 3.2 პროცენტით უნდა გაიზარდოს. 2020 წელს მშპ შეიძლება მხოლოდ 3% -ით გაიზარდოს. სამინისტროს გათვლებით, ლატვიამ ეკონომიკაში თავისი განვითარების პიკის 2018 წელს მიაღწია, როდესაც მშპ 4.9% -ით გაიზარდა, ხოლო მომავალში ის უფრო ნელა განვითარდება.

ესტონეთი

ესტონეთი ერთ-ერთი პატარა ქვეყანაა ბალტიის ზღვის პირას რომლის ეკონომიკამაც გასაოცარ წარმატებებს მიაღწია მოკლე დროში. ესტონეთის რესპუბლიკა 45 227კმ² ფართობს მოიცავს. მოსახლეობა 2 მილიონს არ აღემატება. ოფიციალური ენა ესტონურია. ვალუტა- ევრო. დედაქალაქი - ტალინი. ესტონეთი გამუდმებით იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, რომელსაც პირველად მან 1918 წელს მოიპოვა, მაგრამ 1940 წელს იგი დაიკავა საბჭოთაკავშირმა. თუმცა ესტონეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო რომელმაც საბჭოთაკავშირს დააღწია თავი და 1991 წელს კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობამ ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური პრობლემაბი წარმოშვა. სამრეწველო პროდუქცია 30%ით შემცირდა, ხელფასებმა 45% ით იკლო. ინფლაციამ დაუჯერებელ მაჩვენებელს მიაღწია. ქვეყანა ისეთ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა , ხალხი თვითონ ხედავდა როგორ მიექანებოდნენ უფსკრულისკენ. ქვეყნის გადასარჩენად საჭირო იყო დიდი ნახტომის გაკეთება. ამითომ 1992 წელს პირველი დემოკრატიული არჩევნების დროს ხალხმა იმ ჯგუფს ანდო ქვეყნის მომავალი რომელიც რადიკალურ ცვლილებებს სთავაზობდა.

მნიშვნელოვანი იყო სწორი ნაბიჯები საჭირო დროს. მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სესხი შესთავაზა ესტონეთს, მთავრობის გადაწყვეტილებით სესხზე უარი განაცხადეს და რადიკალური რეფორმებისთვის დაიწყეს მზადება, რომელიც ვალებზე არ იქნებოდა დამოკიდებული. გადაწყვიტეს, რომ ქვეყანა მთლიანად საბაზრო ეკონომიკაზე გადასულიყო.

საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი რეფორმა მონეტარული კუთხით გაატარეს, როდესაც ესცონეთში საკუთარი ვალუტა შემოიღეს- ესტონური კრონა, რომელსაც გერმანული მარკით ამყარებდნენ. გაცვლითი კურსი გერმანულ მყარ ვალუტასთან პოზიტიურ შედეგებს დებდა და ადამიანებში სანდოობას იწვევდა. რეფორმას რომ რეალური შედეგი გამოეღო , საჭირო იყო ბიუჯეტის დაბალანსება, რაც მთავრობით ხარჯების შემცირებით იყო შესაძლებელი, მთავრობა კი ვერც ფულს ბეჭდავდა და ვერც სხვა გამოსავალი ჩანდა ფულის მასის გასაზრდელად. იმისათვის რომ სავალუტო რეფორმას რაიმე აზრი ჰქონოდა, მთავარი იყო ბიუჯეტი მკაცრად კონტროლირებული გამხდარიყო.

რეფორმების შემუშავება და რადიკალური ცვლილებები დიდ გამოცდილებას და სრულ შეთანხმებას საჭიროებდა საპარლამენტო უმრავლესობასთან. ხელისუფლება ახალგაზრდა, გამოუცდელი პირებისგან შედგებოდა რომლებმაც შეიმუშავეს ისეთი გეგმები რაც ერთი შეხედვით აბსურდულად მოეჩვენებოდა ბევრს, თუმცა გეგმის შემუშავებაში საერთაშორისო რესპუბლიკური ინტიტუტი , შვედეთის ტიმბო და ადამ სმითის ინსტიტუტმაც მიიღეს მონაწილეობა.

ბიუჯეტის დასაბალანსებლად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო დაფინანსება და მთავრობის შემცირება. რაც ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მოხდა. ესტონეთმა ბევრი საკანონმდებლო ცვლილება განახორციელა უმოკლეს დროში, ერთ ერთი კანონით კი პარლამენტისთვის მხოლოდ დაბალანსებული ბიუჯეტის წარდგენა იყო შესაძლებელი, შედეგად კი დაბალანსებული ბიუჯეტი ესტონეთის სახედ იქცა.

რეფორმების პირველი შედეგები დაუჯერებელი იყო. მაშინ როდესაც 1992 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 10 000% იყო. 1993 წელს იგი 89.7 %მდე შემცირდა. 1995 წელს კი 29% შადგინა. აქამდე თუ მაკროეკონომიკური მონაცემების დასტაბილურება და მოკლევადიანი ფინანსური გეგმები იყო რეფორმების მიზანი. 1995 წლის მონაცემმა ესტონეთს საშუალება მისცა დაესახა გრძელვადიანი მიზნები და ეკონომიკურ ზრდაზე ეზრუნა. ქვეყანა მზად იყო დაეწყო რეფორმების მეორე ეტაპი. სახელმწიფოს გახსნილობა ბევრ ფაქტორში უნდა გამოვლენილიყო, თავდაპირველად კი ხელი უნდა შეეწყო საკუთარი მოქალაქეებისთვის, ეკეთებინათ საკუთარი ბიზნესი. გაზრდილიყო კონკურენტუნარიანიობა და მოეზიდათ უცხოური ინვესტორები. ქვეყნის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ დადებითი ცვლილებები გამოიწვია, კონკურენციის გაძლიერებამ ნათელი გახადა რა კონკურენტული უპირატესობა გააჩნდა ქვეყანას და რომელი მიმართულებით უნდა განვითარებულიყო ის.

ხელისუფლებამ შეამცირა საგადასახადო ტარიფები და გაამარტივა ექსპორტის პროცესები, შედეგად ესტონეთი თავისუფალ სავაჭრო ზონად იქცა. გაძლიერდა კონკურენცია. მოიმატა ექსპორტზე ორიენტირებულმა კომპანიების რიცხვმა. ესტონეთში მიზანმიმართულად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ საერთაშორისო ორგანიზაციების ვალებისგან. სამაგიეროდ მაქსიმალური მხარდაჭერა გამოუცხადეს უცხოურ ინვესტიციებს. მიწების გასხვისების კანონმა ქვეყნის მიმართ ინვესტორების ნდობა გაზარდა. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 4 წელში ესტონეთმა შეძლო საინტერესო გამხდარიყო ბევრი წარმატებული ქვეყნისთვის. უმოკლეს დროში ესტონეთმა ერთ მოსახლეზე გაცილებით მეტი ინვესტიცია მიიღო , ვიდრე სხვა ცენტრალურმა და აღმოსავლეთევროპულმა ქვეყანამ. შედეგად განახლდა ქარხნები, გაიზარდა ცოდნა, დამკვიდრდა თანამედროვე ტექნმოლოგიები, გაიზარდა

დასაქმებულთა რიცხვი. შედგა სამხმხრივი მოლაპარაკება , მთავრობას, ბიზნესს და დაქირავებულს შორის, რამაც მეტი სამუშაო ადგილის შექმნა გამოიწვია.

სახელმწოფო ცდილობდა დემოკრატიის დამყარებას, სხვანაირად რეფორმები ვერ განხორციელდებოდა. თითოეულმა მოქალაქემ გააცნობიერა საკუთარი აზრის მნიშვნელოვნება. მედიის თავისუფლება და კანონის უზენაესობა კი ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენდა ყველა ზემოთჩამოთვლილისთვის. განსაკუთრებით კორუფციისთვის რომელიც ძირს უთხრის ჯანსაღ ეკონომიკურ თუ დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას. კონკურენციის გაძლიერებამ შეამცირა კორუფციის მოტივაცია. სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ცვლილებებმა, რომელიც გულისხმობდა: საგარეო ვაჭრობაზე კონტროლის მოხსნას, კერძო სექტორის ხელისშეწყობას და სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაციამ გააძლიერა კორუფციასტან ბრძოლის შედეგები. ესტონეთმა დახურა ყველა სახელმწიფო ბანკი და ხელი შეუწყო კერძო ბანკების გახსნას. იმისათვის რომ არ მომხდარიყო ფულის გათეთრების ფაქტები, მნიშვნელოვანი იყო ბანკებს შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობა, რაც მხოლოდ კერძიო ბანკებს შორის შედგებოდა.

ესტონეთის ხელისუფლებამ საკუთრების უფლება პრიორიტეტი გახადა. კომუნისტების მიერ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდათ მესაკუთრეებს. დარიგდა პრივატიზაციის ვაუჩერები, რითაც მესაკუთრეებს კომპანიის წილების ან უძრავი ქონების შეძენა შეეძლოთ. დარჩენილი ქონება კი გაიყიდა. შედეგად ესტონეთი კერძო მესაკუთრეთა ქვეყნად ჩამოყალიბდა სადაც გაზრდილი იყო ინვესტორების და დასაქმების დონე. პარალელურად შეიცვალა გადასახადების სისტემა. სახელმწიფოში დაწიეს საგადასახადო ტარიფები და მოსახლეობას მისცეს მოტივაცია, ყოფილიყვნენ უფრო აქტიურები. საგადახდო სისტემა გამარტივდა, შეინარჩუნა სამართლიანობა და საჭირო გახდა მხოლოდ ურჩი გადამხდელების კონტროლი.

საგადახდო სისტემა ეფექტური აღმოჩნდა და დაიწყო საბიუჯეტო შემოსავალმა ზრდა.

წელი	მშპ-ს ზრდა	შემოსავლები საშემოსავლო გადასახადებიდან	მთლიანი შემოსავლები
1993	-9.0	1.5	8.0
1994	-2.0	2.0	12.0
1995	3.9	4.0	19.0

წრფივი დაბეგვრის შედეგად ეკონომიკური აქტივობა გაიზარდა და მოიმატა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა. მაშინ როდესაც 1992 წელს 2000 სასტუმრო იყო, 1992 წლის ბოლოს 70000სს გადააჭარბა. თანაბარი დაბეგვრის პრინციპი მეზობელმა ქვეყნებმაც გადაიღეს, 2001 წელს რუსეთმა, 2004 წელში კი საქართველოსა და უკრაინაშიც დაბეგვრის იგივე სისტემა ამუშავდა.

ესტონეტში შემცირდა სიღარიბე, უმუშევრობა, ინფლაციის დონე კი მკვეთრად გაუმჯობესდა. ბიუჯეტი არამხოლოდ დაბალანსებულია,არამედ გადაჭარბებულადაც სრულდება. დღეს როცა ესტონეთი ნატოსა და ევროკავშირის წავრი ქვეყანაა, მასში ყველაზე კონკურენტული გარემოა ვიდრე ევროკავშირის ნებისმიერ ახალ წევრ ქვეყანას შორის.

აღნიშნული რეფორმების შედეგად ესტონეთი სწრაფად განვითარდა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ მმართველობაშიც. ესტონეთში დაიბადა ბევრი კომპანია და ციფრული სტარტაპი. ერთი ასეთი „ ციფრული წარმატება „ სკაიპია“.

ჭკვიანი სახელმწიფოები ესტონეთის მაგალითზე ისწავლიდნენ არამხოლოდ ესტონურ საგადახდო მოდელს, არამედ საფუძვლიანად შეისწავლიდნენ მათ განათლების სისტემას, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სახელმწიფო მმართველობის სფეროს. ესტონეთმა დამოუკიდებლობის პერიოდში ყველაზე დიდი ეკონომიკური პროგრესი განიცადა. კონკრეტულად კი 2004 წლიდან 2008 წლამდე მისი მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა გაორმაგება შეძლო. 8 850 ა.შ.შ დოლარიდან 18 094 დოლარამდე.

2019 წლის მონაცემით, ესტონეთმა პირველ კვარტალში მოლოდინს გადააჭარბა და 4.5% -იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. წარმოების მრეწველობა რომელიც ყოველ წელს 10% ით იზრდებოდა, წლის დასაწყისში უკვე ეკონომიკური პროგნოზირებული ნიშნის მესამედს აღწევს. [7]
აპრილის დასაწყისში ეკონომიკის მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა, თუმცა რეალური შედეგი სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ წლის ბოლოს დაითვლება და გაზაფხულის პროგნოზი ნაკლებად საყურადღებოა. მითუმეტეს იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ გარე მოთხოვნაზე მოსალოდნელია შემცირება. პარალელურად აღნიშნავენ ეკონომიკის სიძლიერეს და მდგრად ზრდას ვარაუდობენ.

7. https://rus.err.ee/921529/jekonomika-jestonii-ohlazhdaetsja

2.2 ევროპის მოწინავე პატარა სახელმწიფოები და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო ბაზარზე

პატარა სახელმწიფოები ზოგჯერ დაჩაგრულის ამპლუაში გვხვდებიან, რადგან საერთაშორისო პოლიტიკაში მათ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. სიმცირიდან გამომდინარე უმრავლესობას შეზღუდული აქვს სამხედრო-პოლიტიკური ბერკეტები, საერთაშორისო ასპარეზზე გადამწყვეტი სიტყვა ყოველთვის ძლიერ სახელმწიფოებს ან გაერთიანებებს ეკუთვნით, რაზეც გავლენას ვერ ახდენენ მცირე სახელმწიფოები.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ თანამედროვეობაში "ჯუნგლის კანონი" მოქმედებს და უპირატესობა მხოლოდ ძლიერს ეკუთვნის. შესაძლოა ეს ნამდვილად ასეა, იქიდან გამომდინარე, რომ მცირე სახელმწიფოები გამუდმებით თავდასხმების და დანაწევრების საფრთხეს განიცდიდნენ, მათი პირველი მიზანი დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და უსაფრთხოების მოპოვება იყო. მაგრამ არსებობენ ისეთი მცირე სახელმწიფოები რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი მედიატორების სახელი დაიმკვიდრეს, ისინი სადაო საკითხებში ძირითადად მშვიდობისმყოფელები არიან და მათი დიპლომატიური მიდგომა საერთაშორისო მასშტაბით ხშირად ძლიერ კომფლიქტებს იცილებს თავიდან. შესაბამისად მათი საერთაშორისო საჭიროება გაზრდილია.

არსებობენ ქვეყნები, რომლებიც საკუთარ რეგიონში განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია, ძირითადად მსგავსი მცირე სახელმწიფოები ფლობენ ისეთ რესურსს რაც სხვა ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანესი პროდუქცია ან ძალაა. შეიძლება ეს იყოს სხვადასხვა ტიპის ნედლეული. ყველა ქვეყანამ უნდა აღმოაჩინოს ის მნიშვნელოვანი პროდუქცია საკუთრ სახელმწიფოში , რისი მეშვეობითაც დაიკავებს ნიშას საერთაშორისო ბაზარზე და გაჩნდება მისი საჭიროება. ეს მნიშვნელოვანია არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ უსაფრთხოების თვალსაზრისითაც.

თუმცა არსებობენ პატარა სახელმწიფოები, რომლებმაც დაანგრიეს მითი მცირე სახელმწიფოების უუნარობის შესახებ. ევროპაშიც და აზიაშიც, სამხრეთ აფრიკაშიც და ოკეანეთშიც არსებობენ სახელმწიფოები რომლებიც გამოირჩევიან როგორც ფართობის, ასევე მოსახლეობის სიმცირით, ქვეყნები რომლებიც შედიოდნენ გიგანტი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და გამოსცადეს ოკუპაცია მაგრამ მიაღწიეს წარმატებას. ევროპა პლანეტის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური მამოძრავებელი ძალაა. ევროკავშირი მშპ-ს თვალსაზრისით აბსოლიტური მსოფლიო ლიდერია. როდესაც საქმე ევროპის ყველაზე მდიდარ ქვეყნებს ეხება, პირველ რიგში მასში

გერმანიას, გაერთიანებულ სამეფოებს და საფრანგეთს მოიაზრებენ. მაგრამ ევროპის დიდ ქვეყნებს შორის არსებობენ ჯუჯა სახელმწიფოები, რომლებმაც განვითარების მაღალ ზღვარს მიაღწიეს. ქვემოთ მოცემულია მოწინავე პატარა სახელმწიფოების მაგალითები, რომლებიც კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს რომ სიმცირე განაჩენი არაა.

ვატიკანი- ერთ-ერთი ყველაზე პატარა და ყველაზე გავლენიანი ქვეყანაა. დედაქალაქში კათოლიკური ეკლესის გავლით მრავალი მილიარდი ევროს ნაკადი შედის და დიდხანს ადანაშაულებდნენ სამღვდელოებას კორუფციაში. დღემდე დახურულია სისტემა, მაგრამ თანდათანობით უფრო იზრდება ცნობები ვატიკანის ეკონომიკის შესახებ. ის ძირითადად კათოლიკეების შემოწირულობაზე და ტურიზმზეა დამოკიდებული. ვატიკანის მოსახლეობა 839 ადამიანია. თუ მოსახლეობის რაოდენობას, ქვეყნის სიმდიდრის მთლიან ღირებულებაზე გაყოფთ, შთამბეჭდავ შედეგს მიიღებთ.

სან-მარინო-კიდევ ერთი ჯუჯა სახელმწიფო იტალიაში. მოსახლეობა მხოლოდ 32.5 ათასი ადამიანია და ისინი 61.2 კვ.მ ფართობზე ცხოვრობენ. ეს პატარა "ერი" შეიძლება გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი, ტურისტებისა და კომპანიების შემოსავლებით. მშპ-ს შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავია, იმის გათვალისწინებით, რომ სან-მარინოს ბუნებრივი რესურსები პრაქტიკულად არ გააჩნია.

ანდორა- ესპანეთსა და საფრანგეთს შორის არსებული ჯუჯა სახელმწიფოა. იგი ძალიან საინტერესოა ეკონომიკური თვალსაზრისით, სადაც მიმოქცევასი ევროა, მაშინ როცა ქვეყანა ევროკავშირის წევრი არ არის. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ტურისტებისთვისაა განკუთვნილი და ასევე ანდორას ოფშორულ ზონად იყენებენ. მისი მოსახლეობა 71.8 ათასს აღწევს. სახელმწიფოში ძირითადად ეკონომიკურ სტაბილურობას რკინის მადნეულის წარმოება, თამბაქოს ექსპორტი, ხე-ტყე, მინერალური წყლები, ტყვიის წარმოება და ტურიზმი უნარჩუნებს. ანდორა ცნობილია საგადასახადო სისტემით. ადამიანს რომელსაც წელიწადში 24 000ევროზე ნაკლები აქვს შემოსავალი, საერთოდ არ იბეგრება.

მონაკო - ს ფართობი 1.95 კმ²-ია. მოსახლეობა 37 900 ადამიანი. მონაკო სიმცირით მეორე ადგილზეა პატარა ქვეყნებს შორის, ვატიკანის შემდეგ. იგი არამხოლოდ ფართობით არამედ გადასახადების სიმცირითაცაა ცნობილი. მისი ეკონომიკის ძირითადი ნაწილი ტურიზმზეა გამყარებული. მისი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 78 700 აშშ დოლარია.

ლიხტენშტაინი - მდებარეობს დასავლეთ ევროპაში. მისი ფართობი 160 48 კვ.მ -ია. სამთავროში 36000-მდე ადამიანი ცხოვრობს. ლიხტენშტაინში მცირე რესურსების მიუხედავად ძლიერი ეკონომიკაა. იგი ცნობილია კომპანიების სიმრავლით რომელიც

მოსახლეობის რაოდენობასაც კი აღემატება. ერთ სულ მოსახლეზე 25000$ მოდის. მცირე სახელმწიფოში ძალიან ბევრი განვითარებული სექტორია, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, მეღვინეობა, ვაკუუმ-ტექნიკა, აწარმოებენ ტექსტილს, კერამიკას, მოჰყავთ მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული, გავრცელებულია მეცხოველეობა, განვითარებულია ტურიზმი. ლიხტენშტაინში ხშირად არის მუშა ხელის სიმცირე, ამიტომ მას დასაქმების მიზნით ხშირად სტუმრობენ მეზობელი ქვეყნებიდან.

მონტენეგრო - ჯუჯა სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ფართობი 13812 კმ2. მოსახლეობა 625 000 კაცი. მისი შემოსავალი ძირითადად მომსახურებაზეა დამყარებული. აწარმოებს მეტასლის ექსპორტს. ერთ სულ მოსახლეზე მ.შ.პ 11545$.

მალტა - მდებარეობს ხმელთაშუა ზღვაში ევროპასა და ცრდილოეთ აფრიკას შორის. ფართობი: 316 კვ.მ. მოსახლეობა 452600 კაცი. ქვეყნის ძირითადი შემოსავალი ტურიზმია. ვალუტა - ლირაა. მალტის მდიდარი მაცხოვრებლები არა მარტო ტურისტებს და უცხოელ ინვესტორების იმედზე არიან, არამედ ცდილობენ შექმნან საკუთარი კინემატოგრაფია და ნავთობის ჭაბურღილიც კი. მშპ 27000$ ერთ ადამიანზე. მაგრამ მალტაში გარკვეული ტიპის გადასახადები მაღალია, მაგალითად მალტაზე თუ სახლი გაქვთ წელიწადში 15 000 ევროს გადახდა მოგიწევთ.

ისლანდიის - ფართობი 103000კმ-ია. იგი შეიძლება ფართობით არც ისე პატარაა, მაგრამ მოსახლეობა ძალიან მცირეა - მხოლოდ 332 529 ადამიანი. ეს აძლევს ექსპერტებს შესაძლებლობას, რომ ქვეყანა ჯუჯა ქვეყნების ჯგუფში ჩათვალონ. ბუნებრივი რესურსებიდან, თევზჭერის ექსპორტი ტრადიციულად ისლანდიის ეკონომიკის ნაწილია. მაგრამ ამ საუკუნის დასაწყისში ქვეყანა განსაკუთრებით ცდილობდა ეკონიომიკის მაჩვენებლის გაზრდას . კრიზისის დროს უმსხვილესი ფინანსური კომპანიები გაკოტრდა. ცოტა ხნის წინ, საბანკო სექტორის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა და უკეთეს შედეგებს პროგნოზირებენ ვიდრე ამჟამინდლი მშპ-ა ერტ სულ მოსახლეზე რომელიც 36620$ შეადგენს.

კვიპროსი- კიდევ ერთი კუნძული და კიდევ ერთი ჯუჯა სახელმწიფო, სადაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივ ფინანსურ კრიზისს. კვიპროსს კარგად იცნობს როგორც რუსი ტურისტები და რუსი ინვესტორები. ოფშორული ზონა ხელს უწყობს ბიზნესი გადასახადებისგან დაზოგვას.

ლუქსემბურგი - შეიძლება მოიძებნოს რუკაზე საფრანგეთსა და გერმანიას შორის. მსოფლიოში მოსახლეობის 537.8 ათასი ადამიანი მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრესად ითვლება. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სთან შედარებით, ლუქსემბურგი მეორე ადგილზეა მსოფლიოში 107 ათასი დოლარის ოდენობით. ქვეყანას გააჩნია მძლავრი საწარმოო და საფინანსო სექტორი. რა თქმა უნდა, დაბალი საგადასახადო

განაკვეთების მიერ შემოთავაზებული უპირატესობები ლუქსემბურგისთვის კეთილდღეობის ფუნდამენტური ნაწილია. მაგრამ ბოლო წლებში, ქვეყანაში ხდება მაღალტექნოლოგიური მოთამაშეების მოზიდვა, სერვერული კლასტერების და მონაცემთა ბაზების პლატფორმა.

შვეიცარია- მცირე სახელმწიფოა დასავლეთ ევროპაში, მისი დედაქალაქი ბერნია. ფართობი 41 285 კვ.მ. მოსახლეობა 8 მილიონს არ აღემატება. მისი ძირითადი შემოსავალი ხე-ტყის მასალა. ჰიდროენერგია, ტურიზმი და მარილია. შვეიცარიაში სერვსის მაღალმა დონემ მნიშვნელოვანად აწია ეკონომიკის მაჩვენებელი, კონკრეტულად საბანკო და ტურიზმის სექტორში. იგი ლუქსემბურგისა და ლიხტენშტეინის შემდეგ, მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა. შოკოლადის წარმოება დიდი რაოდენობით ხდება და ერთ-ერთი წამყვანი საექსპორტო ქვეყანა აღნიშნულ სექტორში საიდანაც საერთაშორისო ბაზარი მარაგდება. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 45000 აშშ დოლარია. მასწავლებლს საშუალო წლიური ანაზღაურება 120 000$ აღწევს. ქვეყანაში დანაშაულის ძალიან დაბალი დონეა, ქვეყანამ დიდი რესურსი გაიღო თავდაცვაში, შედეგად კი არამხოლოდ ყველა უღელტეხილი და გვირაბი დანაღმა, არამედ ქვეყნის მასშტაბით მრავლად განათავსა შენიღბული ბუნკერები.

ნორვეგია - ნორვეგიის სამეფო ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მისი ფართობი 385 207კვ.მ. დედაქალაქი - ოსლოა. ოფიციალური ენა კი ნორვეგიული. მოსახლეობა 4991800 ადამიანი. ნორვეგია დასახელებულია ყველაზე მშვიდობიან, განვითარებულ და განათლებულ ქვეყანად. ქვეყანა მდიდარია სწრაფი მდინარეებით, რისი მეშვეობითაც ელეტროენერგიის ექსპორტია განვითარებული. ასევე ნორვეგია მოიპოვებს ნავთობს და ბუნებრივ გაზს. ხე-ტყით განთქმული სახელმწიფო ქაღალდის მრეწველობასაც წარმატებით ანვითარებს. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ნორვეგიას 3 მილიონამდე ტურისტი სტუმრობს, რაც უფრო მეტად ამდიდრებს ქვეყნის ბიუჯეტს.

დანია-ს 42 915 კვ.მ ფართობი უკავია ჩრდილოეთ ევროპაში, მისი დედაქალაქია კოპენჰაგენი. მოსახლეობა 6 მილიონს აღწევს. ოფიციალური ენა დანიურია. დანიის ეკონომიკას ძირიტადად ადამიანური რესურსი ამყარებს. ქვეყანაშ მოიპოვება საწვავი, ბუნებრივი გაზი, ექსპორტზე გააქვთ საკვები პროდუქტებბი, მოწყობილობები, მანქანა- დანადგარები და ა.შ. 2017 წლის მონაცემით იგი ერთადერთი ქვეყანაა რომელსაც საგარეო ვალი არ გააჩნია. იგი ნატოს წევრებს შორის შედის. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 37 795$-ია 2013 წლის მონაცემით.

შვედეთი- მაღალგანვითარებული ქვეყანაა რომლის ფართობი 444 964კვ.მ-ია. მოსახლეობა 9 858 794 ადამიანია 2016 წლის მონაცემით. დედაქალაქი სტოკჰოლმი. სახელმწიფო ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული, ძირითადად რკინა, ფოლადი, ავტომობილები და ქაღალდის პროდუქცია გადის. ქვეყნის ეკონომიკასაც

კვალიფიციური მუშახელიც ამყარებს. მან დიდი წარმატებები მოიპოვა საგარეო ვაჭრობაში და კვლავ აგრძელებს განვითარებას საერთაშორისო მასშტაბით. შვედეთში დასაქმებულების მესამედი უმაღლესდამთავრებულია. მათგან 4.5 მილიონი შვედეთში მცხოვრებია. 2009 წლის მონაცემით შვედეთი პირველ 15 ქვეყანაში მოდიოდა საათობრივი ანაზღაურების სიდიდით რაც საშუალოდ 50აშშ დოლარს უდრის. 2013 წელს იგი ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყნებს შორის მეორე ადგილზე მოხვდა. ერთ სულ მოსახლეზე მშპ 50 000 აშშ დოლარს აღწევს.

ფინეთი- მაღალტექნოლოგიური ქვეყანაა, იგი მდებარეობს სკანდინავიაში , ჩრდილოეთ ევროპაში. ფართობი 338 424 კვ.მ-ია და მისი მოსახლეობა 2014 წლის მონაცემით 5 მილიონს აღწევს. დედაქალაქი ჰელსინკია. ფინეთში განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ექსპორტზე გადის ხე, ავეჯი, ტანსაცმელი , გემები და ავტომობილები. მომსახურების დონე ფინეთში ძალიან მაღალია. მუდმივად ვითარდება მრეწველობა. იგი დიდი რაოდენობითნავთობს ენერგიას აწარმოებს, რომლითაც არამხოლოდ 7-8 თვიანი სიცივეების პერიოდში ათბობს შენობებს, არამედ ექსპორტზეც გააქვს, ძირითადად მის ნაწილს შეადგენს შეშა, ქვანახშირი, ნავთობი და ატომური ენერგია.

ზემოთ მოყვანილი მცირე სახელმწიფოების მაგალითზე, ნათლად ჩანს, რომ სწორი სავაჭრო პოლიტიკა, ქვეყნის რესურსების ჭკვიანურად გამოყენება, საზოგადოების განათლების მაღალი დონე, ადამიანური რესურსის სწორად მართვა, მძლავრი საწარმოო რესურსი, კორუფციის დაბალი დონე, დიპლომატიური მიდგომა სხვა ქვეყნებთან და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი განაპირობებს ქვეყნის განვითარების მაღალ მაჩვენებელს. თუმცა კვლავ ისმის კითხვა: შეუძლია კი პატარა, დამოუკიდებელ ქვეყანას განვითარება თავისით? გაერთიანებებისა თუ დიდი სახელმწიფოების დახმარების გარეშე?!

ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ზომა და ასევე შევთანხმდეთ თუ როგორ გავზომოთ წარმატება (მშპ ზრდა,მშპ ერთ სულ მოსახლეზე.და ა.შ.). მაგრამ სხვა ფაქტორებმა შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ზომას და წარმატებას შორის. მაგალითად სავაჭრო გახსნილობა,ერთგვაროვნება და ასაკი. რაც უფრო მეტად არის ქვეყნის ბაზარი გახსნილი შესაბამისად მსოფლიო ბაზარიც ეხსნება მას. დღეს როცა სასაზღვრო ბარიერები აღარაა, ქვეყნებს შორის ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მაქსიმალური სარგებელი მოუტანონ ერთმანეთს და გააფართოონ სავჭრო სივრცე. ასე რომ ღია ბაზარზე, პოლიტიკური საზღვრები არის ეკონომიკურად შუსაბამო და პატარა ქვეყნებს შეუძლიათ ისეთივე წარმატებულნი იყვნენ როგორიც დიდ სახელმწიფოებს,რასაც შეიძლება მიაღწიოს ფართო შიდა ბაზარით.

თავი 3. საქართველო და მისი პოზიციონირების პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე.

3.1 საქართველო და მისი პოტენციალი.

როგორც ევროპასა და აზიას შორის ხიდი, საქართველოს ეკონომიკა უაღრესად ინტეგრირებულია საერთაშორისო ბაზრებზე. საქართველო კავკასიის რეგიონში მდებარეობს და ევროპისა და აზიის კარიბჭეა. მისი ფართობი 69 700 კვ.მ-ია. 2017 წლის მონაცემით საქართველოში 3.7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. საქართველო ევროპის გზაჯვარედინზე მდებარეობს და მისი სტრატეგიული მდებარეობა კავკასიის გავლით აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ახალი აბრეშუმის გზის გასწვრივ ბუნებრივი ლოგისტიკური და სატრანზიტო კვანძია. საქართველო უზრუნველყოფს საბაჟო გადასახადს 2.3 მილიარდ ბაზარზე (ჩინეთის, უკრაინის, თურქეთის, დსთ-ს და EFTA ქვეყნებთან და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მქონე ქვეყნებთან).

საქართველოს კარგი პოზიციები აქვს განვითარებასთან დაკავშირებით დასახული ამოცანების შესასრულებლად. წარსული ისტორია არ წარმოადგენს იდეალურ ჭრილს, საიდანაც შეიძლება დავაკვირდეთ ქვეყანას, რომელმაც სულ მცირე პერიოდში, 2007 წლიდან სამი თანმიმდევრული წლის განმავლობაში გამოიარა მრავალი კრიზისი - შიდა, გლობალური თუ კონფლიქტებთან დაკავშირებული. თუმცა, მომავალი იმედისმომცემია, რადგან ქვეყანა უცვლელად ისწრაფვის ვაჭრობის ლიბერალიზაციისკენ, სტრუქტურული რეფორმებისა და საბაზრო ეკონომიკისკენ, ასევე, ახალი შესაძლებლობები იქმნება ევროკავშირთან ასოცირების (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებით (DCFTA), ამასთანავე, ქვეყნის პოლიტიკა ინკლუზიური ხდება 2010 წლიდან.[8]

საქართველოს შთამბეჭდავი პროგრესი ბიზნესის კლიმატის გაუმჯობესების თვალსაზრისით კარგად არის აღწერილი მთელ რიგ საერთაშორისო მაჩვენებლებში. ქვეყნა ითვლება პოლიტიკურად სტაბილურ, კორუფციის არმქონე ქვეყნად , სადაც საინვესტიციო დანიშნულებით შესაძლებელია დაბალი ხარჯების გამოყოფა. საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდება, მაგრამ გარე შოკი რეგიონში, როგორიცაა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და საერთაშორისო სანქციები, უარყოფით გავლენას ახდენენ სავაჭრო პარტნიორებთან.

8.http://documents.worldbank.org/curated/en/879301468130822443/pdf/896060GEORGIAN0409B0CEM0GEO0for0WEB.pdf

2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რამაც შესაძლებელი გახადა ქვეყნის პროდუქცია მიაწოდოს 500 მილიონზე მეტ ადამიანს და ინტეგრირდეს თავისუფალ სავაჭრო სივრცეში. მთავრობა ევროკავშირის სამართლებრივი და მარეგულირებელი სტანდარტებთან დაახლოების პროცესშია. მას შემდეგ რაც აშშ-საქართველოს სტრატეგიული კომისია შედგა , 2009 წელს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა რეგულარული შეხვედრები გამართა თავის ქართველ კოლეგებთან სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში. ამ დიალოგის ერთ-ერთი მიზნია, ეკონომიკური, ენერგეტიკისა და ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები, რომელიც მიზნად ისახავს ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების გზების მოძიებას.

საქართველოს წარმატებული ეკონომიკური რეფორმები ასახავს მის რეიტინგებს, რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებში. 2003 წლიდან მსოფლიო ბანკმა აღიარა საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად რეფორმირებადი ეკონომიკა და როგორც ლიდერი კორუფციასთან ბრძოლაში. 2016 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემით, ბიზნესის გამარტივებასთან დაკავშირებით საქართველო 16-ე ადგილზეა, 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მე -13 ადგილზე და 59-ე ადგილზე 128 ქვეყნის გლობალური ეკონომიკის, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში. "საერთაშორისო გამჭვირვალობის" და "საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების" მიხედვით საქართველოს რეგიონში ყველაზე დაბალი კორუფციის მაჩვენებელია და იგი მოიხსენიება როგორც სტაბილური ქვეყანა. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი სასამართლო რეფორმაა.

დღეისათვის საქართველოს ძირითადი საექსპორტო ბაზარი რუსეთი (9.8%), თურქეთი (8.2%), ჩინეთი (8.0%), ბულგარეთი (7.9%) და აზერბაიჯანია (7.3%). ხოლო ძირითადად იმპორტირებული საქონელი საქართველოში შემოდის თურქეთიდან (13.7%), ირლანდია (8.6%), რუსეთი (6.9%), კანადა (18.2%) და ჩინეთი (5.6%). საქართველო ნავთობისა და გაზის პირველადი იმპორტიორია აზერბაიჯანიდან. საქართველოს ძირითადი პროდუქცია ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი გაზი, ავტომობილები, მედიკამენტები, შაქარი, ელექტროენერგიის წარმოების ტურბინები და ხორბალია. საქართველოს ძირითადი პროდუქცია ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი გაზია, ავტომობილები, მედიკამენტები, შაქარი, ტურბინები ელექტროენერგიის წარმოებისა და ხორბლისთვის. უცხოური საქონელიდან ძირითადად შემოტანილია სამომხმარებლო საქონელი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა 2017 წელთან შედარებით 17.7% -ით გაიზარდა და 2018 წელს $ 3.35 მილიარდი შეადგინა, რაც, თავის მხრივ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმების წყალობით მოხდა. „ექსპორტი 11.5% -ით გაიზარდა და 730.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 19.5% -ით გაიზარდა და 2.62 მილიარდ დოლარს მიაღწია.“ -განაცხადა ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ.

არველაძემ ასევე განაცხადა, რომ გასულ წელს საქართველო ევროკავშირში დივერსიფიცირებული პროდუქციის გამოშვებას შეძლებდა, ხოლო 2014 წელთან შედარებით ევროკავშირში საქართველოდან ექსპორტირებული კომპანიების რაოდენობა 37% -ით გაიზარდა და 789 კომპანიას მიაღწია. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, გერმანიის განვითარების სააგენტო GIZ- ის მხარდაჭერით შეიქმნება საექსპორტო სტრატეგია ევროკავშირში ავეჯის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპორტის პოტენციალი.

საქართველოს მთავრობა და ევროკავშირი - ანალიტიკური არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენებით ექსპერტიზისა და დამატებითი ადამიანური რესურსების კუთხით და საჯარო დიალოგების წარმართვის სტიმულირებისთვის აღნიშნულ პროცესში

• აუცილებელია საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის, მისი საექსპორტო პოტენციალის შეფასებით და იმ სექტორების განსაზღვრით, რომლებშიც საქართველო, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას ფლობდეს. ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის შეფასება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მხრივ და უფრო მეტად პერსპექტიულ სფეროებზე აქცენტირება პირველ ხანებში, რაც მომდევნო პერიოდში დაგროვილი სარგებლის სხვა სფეროებზე გადანაწილებას გულისხმობს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ევროკავშირის მიერ მოწოდებული ტექნიკური და ფინანსური დახმარების სწორ მიმართვაზე, ხელშესახები შედეგების მიღების მიზნით.

• ევროკავშირის ქვეყნებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ნავარაუდევი ზრდის შედეგად ადგილობრივ მწარმოებლებზე გამოწვეული წნეხის შერბილების მიზნით მთავრობამუნდა შეიმუშავოს მიზნობრივი სექტორალური პროგრამები და ინიციატივები კონკურენტულ დარგებში ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით. ეს ინიციატივები, უპირველესად, მიმართულ უნდა იქნას ადგილობრივი მწარმოებლების დახმარებისკენ, რათა მათ წარმატებით შეძლონ ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტიზაციის პროცედურების დაკმაყოფილება.

• როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება არასატარიფო ღონისძიებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. ამ მხრივ, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს დახმარებას სერტიფიცირების პროცედურებში, კონსულტაციების ჩატარებას, ფერმერების სახლებისა და ტრენინგცენტრების როლის ზრდას.

• ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საკვანძო მნიშვნელობის მქონეა მწარმოებლებისთვის, ტრენინგისა და განათლების პარალელურად. ასიმეტრიული ინფორმაციის დაძლევის ერთერთი წარმატებული გზა შეიძლება იყოს სახელმძღვანელოს შექმნა მწარმოებლებისთვის, სადაც მოცემული იქნება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. სახელმძღვანელო უნდა იყოს ძალზე კონკრეტული და შეიცავდეს ინფორმაციას სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებპორტალი თავდაპირველად სწორედ ამ მიზნით შეიქმნა, მაგრამ ამჟამად იგი ძალზე ფართოა და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას სექტორალურ პროდუქტზე, პროდუქტის კოდის მიხედვით. საინფორმაციო კამპანია დაეხმარება აგრობიზნესში ჩართულ ადამიანებს, უკეთ გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და ასევე, უკეთ გაიაზრონ გამოწვევები. ევროკავშირის როლი აღნიშნულ პროცესში გულისხმობს ასოცირების შეთანხმების კონკრეტული მუხლების გარკვევით ახსნა-განმარტებას, რომლებიც ერთი წაკითხვით რთულია აღსაქმელად და რამდენადმე ურთიერთგამომრიცხავიც კია. ინფორმაცია საზოგადოებას უნდა გადაეცეს სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ, მას ბიზნესორგანიზაციებს და ფართო საზოგადოებას მიაწვდიან. [9]

საქართველო მდიდარი რესურსების მქონე ქვეყანაა. უდავოა, რომ უფრო დიდი ტერიტორია და მეტი რესურსი, ქვეყანას განვითარების უკეთეს შანსს აძლევს, მაგრამ ზემოთ განხილულ სხვა ქვეყნის მაგალითებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიმცირე მართლაც არ არის განაჩენი. საქართველოს აქვს პოტენციალი ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყნად იქცეს საერთაშორისო ბაზარზე. მთავარია ქვეყანამ აიღოს სწორი მიმართულება და დაიკავოს თავისი ნიშა საერთაშორისო ბაზარზე , რომელი მიმართულებითაც უნდა განაგრძოს განვითარება. ქვემოთ ჩამოთვლილი სექტორებიდან, საქართველომ ერთ-ერთი მაინც რომ აითვისოს სრულყოფილად, ქვეყნის პროდუქტიულობა ბევრად დიდი იქნება.

9. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf

ენერგეტიკა

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველი ადგილი ჰიდროენერგორესურსებს უჭირავს. საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96,5 კმ3-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მეგავატის ექვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური ენერგია 50 მლრდ კვტ.საათის ექვივალენტური. [10]

გასული ათწლეულის მანძილზე ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება 10 წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი დეფიციტი შეიქმნება. 2004 და 2010 წლებში მნიშვნელოვნად გახშირდა განახილვები არსებული ჰესების რეაბილიტაციის შესახებ. რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებობს დიდი აუთვისებელი პოტენციალი, ძირითადად ჰიდრორესურსებიდან, ქარის, მზის, გეოთერმული და ბიომასის წყაროებიდან.

საქართველო ენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 25% იყენებს. 2015 წელს საქართველოს ელექტროენერგიის წარმოება 10.8 მგვტ-ს მიაღწია, საიდანაც 78% ჰიდროელექტროენერგიაა. საქართველოს ენერგეტიკული სექტორი სწრაფად ვითარდება და ყველა კონკურენტუნარიანი უპირატესობით, რომელსაც ქვეყანა ფლობს, არ არის ძნელი იმის დანახვა, თუ რატომ. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე დამატებითი ელექტროსადგურების გარეშე წარმოების სიმძლავრე არ იქნება საკმარისი ზამთრის პერიოდში შიდა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გრძელვადიან პერსპექტივაში, და თუ ელექტროენერგიის მოხმარების მოთხოვნა ამ ტემპით განაგრძობს გაზრდას სავარაუდოდ 2025 წლისთვის შეიქმნება დეფიციტი.

2008 წლიდან საქართველოს აქვს ლიბერალიზებული და დერეგულირებული ენერგეტიკული ბაზარი. განახლებადი პროექტები ეფუძნება Build-Own-Operate (BOO) პრინციპს. ახლად აშენებული ჰესებისთვის არ არის გათვალისწინებული ტარიფები, ინვესტორი თავისუფალია აირჩიოს ბაზარი და შეათანხმოს ფასები. არ არის საჭირო საექსპორტოდ ლიცენზია და ახალი ჰიდროელექტროსადგურებისათვის პრიორიტეტულია თურქეთში ახალი ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობა. ყველაზე მიმზიდველი საექსპორტო ბაზარი კი თურქეთია, ჩინეთის შემდეგ, ელექტროენერგიაზე მოთხოვნის თვალსაზრისით.

---

10. http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo

საქართველო გამოირჩევა მაღალი მთებისა და მდინარეების სიუხვით, რაც აძლევს კონკურენტულ უპირატესობას ღირებულებასთან მიმართებაში. თუმცა საქართველოს მდინარეების სპეციფიურობიდან გამომდინარე, რომელთაც ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სეზონურობა, ამ რესურსების გადანაწილება წლიურ, ან მრავალწლიურ ასპექტში შესაძლებელია მხოლოდ მარეგულირებელი წყალსაცავებიანი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით. თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით ასეთების მშენებლობა გართულებულია, ამიტომ ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია სახელმწიფო პროგრამა "განახლებადი ენერგია 2008", რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში პოტენციური ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების სია და გაწერილია წესები და პროცედურები მათი მშენებლობისათვის. წიაღისეული ენერგორესურსების შემცირების ფონზე აქტუალური გახდა ქარის, მზის, გეოთერმული წყლების, ბიოგაზისა და სხვა ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების გამოყენება ელექტროენერგიისა წარმოებისა და სხვა პრაქტიკული დანიშნულებისათვის.

საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის მეშვეობით ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება საორიენტაციოდ 4 მლრდ. კვტ.სთ-ით, ხოლო დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ით არის შეფასებული. ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით საქართველოს ტერიტორია დარაიონებულია მაღალ, საშუალო და დაბალ სიჩქარიან ზონებად, სადაც ქარის სიჩქარე წელიწადში 2,5 მ/წმ-დან 9,0 მ/წმ-მდე მერყეობს, სამუშაო დროის ხანგრძლივობა წელიწადში 4000-5000 სთ შეადგენს. შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომლებიც საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს. დღეისათვის საქართველოში არსებული განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალი ნაკლებად არის გამოყენებული. მეტი ინვესტიციების მოზიდვით შესაძლებელია განახლებადი ენერგიის წყაროებით წარმოებული ელექტროენერგიის გამოყენება რეგიონალური მასშტაბით სათბური გაზების ემისიის შემცირებისათვის, და რაც მნიშვნელოვან ფონს შეუქმნის საქართველოს კიოტოს ოქმით განსაზღვრული გარემოსდაცვითი პროექტების დანერგვაში. [11]

11. http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo

წარმოება. ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისთვის, მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა. საქართველოში უკვე ბევრი სოციალური კამპანია მოუწოდებს საზოგადოებას შეიძინოს ქართული წარმოების პროდუქცია, რის შედეგადაც გაიზრდება არამხოლოდ ადგილობრივი გაყიდვები, არამედ გაიზრდება ცნობადობა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ძირითადად, ადგილობრივი წარმოების პრიორიტეტად მაღალ ხარისხს ასახელებენ. მწარმოებლების მცდელობა, რომ დანერგონ და გააუმჯობესონ თანამედროვე სტანდარტები, მეტად სანდოს ხდის ქართულ პროდუქციას.

საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა, როგორც ევროპისა და აზიის კარიბჭე, მეტ სარგებელს აძლევს ინვესტორებს წარმოების სექტორში. კერძოდ, საქართველო იონვესტორებს სთავაზობს კონკურენტუნარიან გარემოს, შრომასა და ენერგეტიკულ დაბალ ხარჯებს, დაბალ გადასახადებს, კორუფციისგან თავისუფალი გარემოს და თავისუფალი ვაჭრობის პირობებს.

სურსათისა და არამადნეული მინერალური პროდუქტების წარმოება საქართველოს ყველაზე დიდი ინდუსტრიული ბაზაა, ხოლო არასასოფლო-მინერალური პროდუქტები, ქიმიკატები და საკვები არის ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრია. წარმოება შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 11% და დასაქმებულია დაახლოებით 5%. საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნისთანავე , მთავრობამ ინვესტორების წახალისების მიზნით, ბიზნესი გაანთავისუფლა ყველა საგადასახადო დავალიანებისგან, გარდა პირადი საშემოსავლო გადასახადისგან. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA) თურქეთთან და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან. საქართველოში მოქმედი კომპანიები ისარგებლებენ მზარდი რეგიონული ბაზრისა და სხვადასხვა იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობებით, კერძოდ: კვების გადამუშავება, ქიმიკატები, პლასტმასები, სამშენებლო მასალები, შეფუთვა, საყოფაცხოვრებო საქონელი, კერამიკული და მინის პროდუქტები და სხვა.

საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია ნატურალური პროდუქციის წარმოებაში, შესაბამისად თუ ეს სექტორი მაქსიმალურად იქნება ათვისებული, ევროკავშირის ბაზარზე ნატურალური და ბიო პროდუქციის მოთხოვნის გაზრდის ფონზე, საქართველოს შეძელბს დიდი ფინანსური მოგება ნახოს აღნიშნულ სექტორში. 2017 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ბიო პროდუქტების ღირებულებამ 1 მილიონ დოლარს გადააჭარბა.[12] თუმცა, ადგილობრივი მეწარმეებისთვის მნიშვნელოვანია ბიო სერთიფიკატების ქონა, რომელიც მათ ევროპელი პარტნიორის მოძიებაში და პროდუქციის რეალიზებაში დაეხმარება.ამ ეტაპზე, ევროკავსირის ბაზარზე მოთხოვნა გაზრდილია შემდეგ ბიო პროდუქტებზე: ბიო თხილი,

12. http://eugeorgia.info/ka/vid/66/bio-warmoeba-saqartveloshi-/

ძირტკბილას ფესვები, მაყვლის ფოთლები, მშრალი ჭინჭარი, ასკილი, ქაცვი, ბიო ჩაი. საქართველოში უკვე მუშაობს ევროკომისიის მიერ აღიარებული კომპანიები რომელის ხარისხის მართვას და სერთიფიკატის გაცემას უზრუნველყოფს. 2017 წლის მონაცემით საქართველოში 17 კომპანია აწარმოებს ბიო პროდუქციას, აქედან 8 ღვინის მწარმოებელი დანარჩენი კი სხვადასხვა სექტორში ფუნქციონირებს.

„საქსტატის მონაცემებით, 2011 წელს ექსპორტის მაჩვენებელმა 2,186 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2012 წელს – 2,376 მილიარდი დოლარი, 2013 წელს – 2,909 მილიარდი დოლარი, 2014 წელს – 2,860 მილიარდი დოლარი, ხოლო 2015 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით ექსპორტის მაჩვენებელმა 1,268 მილიარდი დოლარი შეადგინა. რაც შეეხება კონკრეტულად 2015 წელს, მიმდინარე წელს, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში (იანვარ-ივლისის) ასეთია:

- 148,838.8 დოლარის ღირებულების მადნები და სპილენძის კონცენტრატები. ექსპორტის პროცენტული წილი - 11.7 პროცენტი.
- 129,529.9 დოლარის ღირებულების ფეროშენადნობები. ექსპორტის წილი - 10.2 პროცენტი.
- 110,800.0 დოლარის ღირებულების მსუბუქი ავტომობილები. ექსპორტის წილი - 8,7 პროცენტი.
- 76,051.3 დოლარის ღირებულების დაფასოებული სამკურნალო საშუალებები. ექსპორტის წილი - 6.0 პროცენტი.
- 75,358.3 დოლარის ღირებულების თხილი და სხვა კაკალი. ექსპორტის წილი 5,9 პროცენტი.
- 62,521.8 დოლარის ღირებულების მინერალური, ქიმიური ან აზოტოვანი სასუქი. ექსპორტის წილი 4,9
- 54,056.0 დოლარის ღირებულების მინერალური და მტკნარი წყლები. ექსპორტის წილი 4.3 პროცენტი.
- 47, 957.2 დოლარის ღირებულების ყურძნის ნატურალური ღვინოები. ექსპორტის წილი 3,8 პროცენტი.
- 46,811.8 დოლარის ღირებულების ნავთობი ნედლი და ნავთობპროდუქტები ნედლი, მიღებული ბიტუმოვანი მინერალებისაგან. ექსპორტის წილი 3,7 პროცენტი.
- 34,458.3 დოლარის ღირებულების ოქრო დაუმუშავებელი, ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით. ექსპორტის წილი 2.7 პროცენტი.
- 482,143.1 დოლარის ღირებულების დანარჩენი საქონელი. ექსპორტის წილი 38.0 პროცენტი. ” [13]

---

13. https://www.ambebi.ge/article/141909-top-8-produkti-romelic-sakartvelodan-eksportze-gadis-ras-moakvs-miliardebi/

ქვეყნის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს წარმოების გაზრდას. გატარებული რეფორმების ფონზე, გამარტივდა ბიზნესის რეგისტრაცია, შემცირდა გადასახადები, გაიზარდა სახელმწოფოს მიერ დაფინანსებული საწარმოო პროექტების რაოდენობა. გარდა ამისა, კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლოს უფასო სასწავლო შესაძლებლობებით - საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტი პროფესიული სწავლების ცენტრია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის პრაქტიკულ საგნებში პროფესიულ კურსებს და კურსის უმეტესი ნაწილი ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ.

თუმცა კვლავ პრობლემის წინაშე დგას დღევანდელი მრეწველობის განვიტარება, აუცილებელია მრეწველობის სამართლებრივი ბაზის გამართვა, მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისთვის გამოყენებულ იქნას ინოვაციური მიდგომები, ქვეყნის რესურსებიდან გამომდინარე , სწორად უნდა შეირჩეს პერსპექტიული დარგები, რათა სახელმწიფომ შეძლოს შეიმუშაოს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ განვითარების ხელშეწყობას, მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

საქართველოში არსებული ბუნებრივი პირობები და სანედლეულო ბაზა,შრომითი რესურსები, სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ტრადიციები, მრეწველობის განვითარებისათვის სათანადო პირობებს ქმნის. აქედან, განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალფეროვანი მინერალურ-სანედლეულო რესურსები: შავი და ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონები, მყარი საწვავი, სამთომადნო, მეტალურგიული, ქიმიური და კერამიკული ნედლეული, არალითონური წიაღისეული, სამშენებლო მასალები, აგრონედლეული,სანაკეთო ქვები, ჰიდრომინერალური რესურსები, თხევადი საწვავი და სხვ. [14]

ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკა დიდი გამოწვევის წინაში დგას. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილების ზრდას. აუცილებელია შემცირდეს იმპორტირებული საქონლის მოცულობა, რომელსიც უნდა ჩაანაცვლოს ადგილობრივმა პროდუქციამ. თანმხლები პროცესი უნდა იყოს ექსპორტის ზრდა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა . თანამედროვე სტანდარტების შემოღებამ, უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა, რომ საქართველომ შეძლოს მაქსიმალურად გამოიყენოს ქვეყანაში არსებული რესურსი და თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზარზე

14. საქართველოს ეკონომიკა. მონოგრაფია რ. ასათიანის რედაქციით. გამომცემლობა ,,სიახლე''. თბ., 2012, გვ.169.

ტურიზმი და მასპინძლობის ინდუსტრია

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადგანვითარებადი სექტორია საქართველოში. მისი მეშვეობით ქვეყანაში იმატებს დასაქმების დონე, იზრდება საგადასახადო შემოსავლები, ძლიერდება ქვეყნის ეკონომიკა. მასპინძლობის ინდუსტრიასთან ბევრი მომიჯნავე სექტორია დაკავშირებული, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, კავშირგაბმულობა და ა.შ. ბოლო წლებში საქართველომ საერთაშორისო ვიზიტორთა დინამიური ზრდა აჩვენა, საქართველო განსხვავებულია მსოფლიო ერებს შორის თავისი ბიომრავალფეროვნებით, იგი გამოირჩევა ბუნებრივი და კულტურული რესურსებით, ამ პატარა ქვეყანაში 12000ზე მეტი კულტურული და ისტორიული ძეგლია, რომელთაგან 4 შედის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

საქართველო არის რეგიონალური ცენტრი, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის უმოკლესი გზაზე, რაც ამარტივებს ვიზიტორების მგზავრობას. სტუმრები სარგებლობენ სამი საერთაშორისო აეროპორტით (თბილისი, ბათუმი და ქუთაისი), თანამედროვე სარკინიგზო და სავიზო ლიბერალიზაციის სისტემით. 2015 წელს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 5.9 მილიონს მიაღწია, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 3.7 მილიონს შეადგენს. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო ტურისტების ჩამოსვლის რაოდენობა 8-10% -ით გაიზრდება (წყარო: Colliers International Georgia, Hospitality & Real Estate Sector Research 2015). გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, ევროპის ქვეყნებს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში ვიზიტორების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. დაგეგმილია ძირითადად განვითარდეს საკურორტო ზონა, არსებული პროექტები მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული ქალაქების და უნიკალურის ბალნეოლოგიური რეგიონების განვითარებას. უკვე ფუნქციონირებს საუკეთესო საერთაშორისო სასტუმროების ქსელი, როგორებიცაა: შერატონი, რედისონი, მერიოტი და ა.შ. აღნიშნული სასტუმროები მაღალ სეგმენტზეა გათვლილი, თუმცა არსებობს საშუალო კლასის ბრენდებიც.

თუმცა, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია ვიზიტორებს შევთავაზოთ ალტერნეტიული საცხოვრებელი. ტურისტების კმაყოფილების გასაზრდელად საკმარისი არ არის მხოლოდ გულითადი სტუმართმოყვარეობა ან ძვირადღირებული სასტუმროები, მითუმეტეს , რომ საქართველოს ზოგიერთი კუთხე საოჯახო ტიპის სასტუმროების დეფიციტსაც კი განიცდის, რის გამოც , ხშირ შემთხვევაში ტურისტები ყველა კულტურული თუ ისტორიული ძეგლის მონახულებას ვერ ახერხებენ.

რიგი პრობლემებია გამოსასწორებელი არსებულ საოჯახო სასტუმროებშიც: რეგიონებში არსებულ საოჯახო სასტუმროებზე თითქიმს შეუძლებელია

ინფორმაციის მიღება სტუმრობამდე, ადგილზე მისული ვიზიტორს კი უმეტეს შემთხვევაში ფასთან შეუსაბამო პირობრბი ხვდება. დაბალია მომსახურების ხარისხი, ხშირია სველი წერტილების პრობლემა, ბევრგან არ არსებობს ეთნოგრაფიული კუთხე და მწირია სუვენირების არსებობა.

საოჯახო სასტუმროებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა განახორციელონ საიმიჯო თუ საინფორმაციო აქტივობები. რეკლამა ძვირია , ზოგჯერ კი თავს გამიზნულად არიდებენ საქმიანობის გასაჯეროებას. აღნიშნული გამოწვეულია საგადასახადო შეზღუდვით, რომლის მიხედვიტაც, ტურიზმში დასაქმებული მეწარმე ვალდებულია 1.კვ.მეტრზე გადაიხადოს 10 ლარი. ასევე არსებობს გადახდის ძველი წესი, რომლის თანახმადაც, ინდ.მეწარმე ვალდებულია სეზონის ბოლოს ბიუჯეტში შეიტანოს მოგების 20%. ამას ემატება კომუნალური თუ სხვა გადასახადები, რის გამოც საოჯახო სასტუმროები ხშირ შემთხვევაში წყვეტენ ფუნქციონირებას. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ადგილობრივ მეწარმეებს, შეუმციროს გადასახადები, მოუწესრიგოს ინფრასტრუქტურა ან გაუმარტივოს დაბალპროცენტიანი სესხის აღება და წაახალისოს თვითდასაქმებულები.

ასევე, საქართველოში პერსპექტიულია ეკო ტურიზმი, რომელზეც მოთხოვნა ნელ - ნელა იზრდება. ბოლო დროს ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ ბუნებაში დასვენებას, ადამიანები რომლებიც განტვირთვას ცივლიზაციისგან შორს ამჯობინებენ, რა თქმა უნდა არ მოითხოვენ მაღალი დონის სასტუმროებს ან მომსახურების მაღალ სერვისს, მათთვის საკმარისია ელემენტარული პირობები უსაფრთხოების დაცვისთვის და პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, საქართველოში ეკოტურიზმის განსავითარებლად პოზიტიური ფაქტორი იქნება ღამის გასათევი ადგილების შექმნა, კონკრეტულად კაბინების ქსელის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ჯერ კიდევ აუთვისებელი რეგიონების ტურიზმში ჩართვას.

კაბინების სისტემას წინა საუკუნეში განვითარდა ამერიკაში. მას შემდეგ მსოფლიოს ბევრ ქქვეყანაში იყენებენ, ესენია: ირლანდია, ახალი ზელანდია, სკანიდავიის ქვეყნები, კანადა და ევროპის ქვეყნები. იგი ძალიან მოსახერხებელია სამთო და სათხილამურო კურორტებზე. არსებობს კაბინების რამდენიმე ტიპი, კაბინები რომლებშიც შედარებით მაღალი მომსახურებაა, კვება, საშხაპე და სასმელებია. კაბინები თვითმომსახურებით, სადაც ღუმელი, მატრასები და სამზარეულოს ელემენტარული აღჭურვილობაა, ასევე კაბინები რომლებიც მხოლოდ ღამის გასათევად გამოდგება. კაბინები სხვადასხვა ზომისაა. აღნიშნული სისტემა ინოვაციური იქნება საქართველოს ტურისტულ ბაზარზე და გაზრდის ახალი ადგილების აღმოჩენის შესაძლებლობას რეგიონში.

გასტრონომიული ტურიზმი

საქართველოს მრავალფეროვანი და საინტერესო კულინარიული კულტურა გააჩინია, ამიტომ ჭკვიანური იქნება თუ ამ შესაძლებლობას სწორად გამოიყენებს ქვეყანა და გასტროტურიზმს განავითარებს. იქიდან გამომდინარე რომ გასტროტურიზმს სეზონურობა არ ახასიათებს, მასზე ხშირია ვიზიტორების მოთხოვნა, თუმცა ამ ეტაპზე ქვეყნის ტურისტული კომპანიები ჯერ არ არიან სპეციალიზირებული ამ მიმართულებით და არ გააჩნიათ სწორად შედგენილი ტურები. შესაბამისად არ ხდება ქართულის სამზარეულოს პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და მისი განსხვავებულობა უცხოელი დამთვალიერებლებისთვის შეუსწავლელი რჩება.

ქართული სამზარეულო, ესპანეთის შემდეგ მეორე ადგილზეა მსოფლიოში. მას გააჩნია პოტენციალი განავითაროს გასტრონომიული ტურიზმი მსოფლიო დონეზე. იქიდან გამომდინარე რომ საქართველოს ყველა კუთხეს განსხვავებული კერძი აქვს, ადათ-წესების და განსხვავებული გემოს შერწყმით, განუმეორებელი სანახაობის შექმნაა შესაძლებელი. ტურისტები შეძლებენ არამხოლოდ გემრიელი კერძის დაგემოვნებას, არამედ ისინი ეზიარებიან კონკრეტული კუთხის ტრადიციებს, ცხოვრების სტილს, ფოლკლორს, სარეწაო საქმიანობს, ადგილზევე ნახავენ ეროვნულ ტექნოლოგიურ პროცესებს.

გასტრონომილუი ტურიზმის განვითარებას დიდი ეკონომიკური მოგების მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, თუმცა ამისთვის სტრუქტურის დახვეწაა საჭირო. აუცილებელია ტურ- ოპერატორებმა სწორად შეადგინონ პროგრამა, სრულფასოვნად შეძლონ ტურისტის ინფორმირება და გააღრმაონ ინტერესი არამხოლოდ გასტრონომიის მიმართ არამედ გამოიწვიონ დაინტერესება ტურიზმის სხვა მიმართულებებშიც. ამ ეტაპზე ქართული ტურ-ოპერატორები არ ვითარედებიან კონკრეტული მიმართულებით, არ უნდათ კონკრეტული სეგმენტის სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და მრავალი მიმართულებით აწარმოებენ საქმიანობას. შედეგად კი ისინი ვერ ყალიბდებიან პროფესიონალებად და ქვეყნის ტურისტული რესურსი საერთაშორისო ბაზარზე მოუმზადებელი გადის.

მნიშვნელოვანია , მოგვარდეს არამხოლოდ ტურ- ოპერატორების პრობლემა, არამედ, ქვეყანამ ხშირად უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ტურზმის გამოფენებზე გასტრონომიის მიმართულებით. ამით შესაძლებელი გახდება დააინტერესონ უცხო ქვეყნების ტურისტული კომპანიები. მნიშვნელოვანია გასტრონომიული ტურიზმი იყოს ნაჩვენები , როგორც სპეციალიზირებული, ტურიზმის განვითარების კონკრეტულ ჭრილში. სპეციალიზირებისტვის, მნიშვნელოვანია აღნიშნულ სექტორში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. აუცილებელია გასტრონოტური ტურ-ოპერატორის მიერ დაიგეგმოს

დეტალურად მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად. სწორი დაგეგმისთვის მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეა ქვეყნის სარესტორნო ბიზნესში ნაციონალური კერძების მიწოდების და ნედლეულის ხარისხი. იქიდან გამომდინარე რომ ბევრ ქვეყანას არ აქვს იმის ფუფუნება, ორგანული ინგრედიენტებით გაამრავალფეროვნონ ეროვნული კერძები, საქართველო ამ მიმართულებითაც ფლობს უპირატესობას. აღნიშნული უპირატესობის ფონზე კი სასურველია გასტრონომიული კულტურის გათანამედროვეობა და ახალი ელემენტების დამატება, თუმცა იქიდან გამომდინარე რომ ქართული სამზარეულო უნიკალურია, მნიშვნელოვანია მან არ დაკარგოს თავისი ინდივიდუალიზმი.

მას შემდეგ რაც ხაჭაპური მსოფლიოს საუკეთესო კერძების ასეულში შევიდა, უფრო გაიზარდა ტურისტების ინტერესი ქართული სამზარეულოს მიმართ. ვიზიტორების 94 % აუცილებლად სინჯავს ხაჭაპურს. რესტორნისა და მასპინძლობის სფეროს ამერიკულმა კომპანიამ Af&Co 2019 წლის ტენდენციები გამოაქვეყნა. ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს. Af&Co-მ ქართული საჭმელი წლის სამზარეულოდ, აჭარული ხაჭაპური კი წლის კერძად დაასახელა. [15]

მანამ კი, 2018 წელს მსოფლიოს კერძების ატლასი გამოქვეყნდა რომელზეც საქართველო 41 კერძითაა წარმოდგენილი. კერძების ატლასის მიზანია ‘‘ადგილობრივი’’ სამზარეულოს პოპულარიზაცია ტურისტებსა და გურმანებში, ასევე მათი ინფორმირება,სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული კერძებისა და ინგრედიენტების შესახებ. “ჩვენი მისიაა მოვნიშნოთ მსოფლიოს კერძები და ინგრედიენტები, რომ გადავარჩინოთ ჩვენი ბებიების ტრადიციული რეცეპტები დავიწყებას და წავახალისოთ მოგზაურები, გაეცნონ სხვადასხვა კულტურას, ავთენტურ ადგილობრივ კერძებს’’, – წერენ tasteatlas-ის შემქმნელები. ატლასი შეიცავს 10 000-ზე მეტ კერძს, სასმელს, ინგრედიენტსა და საკვებ პროდუქტს, მათ შორის 41 დასახელების საკვებსა და ინგრედიენტს საქართველოდან. აჭარიდან რუკაზე, ჯერჯერობით, მხოლოდ აჭარული ხაჭაპურია, სხვა კუთხეებიდან კი – ფელამუში, ლობიო, საცივი, ბაჟე და სხვა კერძები. TasteAtlas-ის შემქმნელები წერენ, რომ ეს არ არის დასრულებული პროექტი და რომ ატლასზე კერძები ყოველ დღე ემატება.[16]

მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაწესებულებებმა უზრუნველყონ ნაციონალური კერძების პოპულარიზაცია ყველა საშუალებით, იქნება ეს რადიო, ინტერნეტი თუ პრესა.

---

15. http://batumelebi.netgazeti.ge/news/163814/

16. http://kvira.ge/450703

მეღვინეობა საქართველოში

მეღვინეობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილმა 8000 წლის წინანდელმა ყურძნის ჯიშებმა, ენეოლითის დროინდელმა მარანმა და ღვინის ქვევრებმა , კიდევ ერთხელ დაარწმუნეს მსოფლიო იმაში რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.

საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის ველური სახეობები დღესაც არის გავრცელებული. მე–20 საუკუნის 80–იან წლებიდან ტყის ვაზი საქართველოს წითელ წიგნშია შეტანილი, როგორც სახელმწიფო დაცვის ობიექტი. ველური ვაზის პარალელურად, საქართველოში აღწერილია კულტურული ვაზის 500-ზე მეტი ქართული ჯიში. აქედან 430–მდე დღეისათვის დაცულია სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო საკოლექციო ვენახებში. [17]

მსოფლიოში ცნობილი ყურძნის 4 ათასი სახეობიდან დაახლოებით 500-ს ქართული ფესვები აქვს. [18] აქედან გამომდინარე გაზრდილია ინტერესი ქართული ღვინის მიმართ. ქართული მეღვინეობის ინდივიდუალიზმმა, მრავალფეროვნებამ, ტექნოლოგიურმა უნიკალურობამ და მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ქვეყანა პერსპექტიული გახადა ღვინის ტურიზმის სექტორში. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელი დამთვალიერებლის ინტრესი გაღრმავებულია ღვინის სამშობლოს მიმართ, ვიზიტორები ხშირად სტუმრობენ ტრადიციული მევენახეობის რეგიონებს, ათვალიერებენ ღვინის საწარმოებს, გლეხების მცირე მეურნეობას, უნიკალურ ტექნოლოგიებს, როგორ მზადდებოდა საუკუნეების წინ ღვინო საქართველოში.

მიუხედავად, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ტურისტების დიდი ინტერესეისა, ღვინის ტურიზმი საქართველოში ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული. მცირე საწარმოები , რომლებსაც ძირითადად ადგილობრივი ოჯახები ამუშავებენ, ფინანსურად ვერ უმკლავდებიან თანამედროვე გამოწვევებს. იმისათვის, რომ ტურისტს მაღალი დონის მომსახურება შესთავაზონ, საჭიროა მცირე მარნების შესაფერისი მოწყობა, ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინი, ჩაცმულობა, ღვინისთვის შერჩეული ადგილობრივი კერძები. ყოველივე მცირე დეტალი, რომლითაც გაჯერებულია ტრადიციული მეღვინეობა და რომელმაც უნდა დაინტერესოს უცხოელი ვიზიტორი, მნიშვნელოვანია ტურისტისთვის ინფორმაციის სრულფასოვნად მისაწოდებლად. ეს არამხოლოდ გაზრდის ცნობადობას, არამედ კარგია პირდაპირი გაყიდვებისთვისაც.

---

17 . http://agrokavkaz.ge/agroplus/saqarthvelo-meghvineobis-8000-tsliani-utsqhveti-traditsia.html

18. https://sputnik-georgia.com/georgia/20170911/237293279/saqartvelo-gvinis-samshobloa.html

დიდი პრობლემას წარმოადგენს გიდების არაკომპეტენტურობაც, მათი სერთიფიცირება შეუმოწმებელია და ქმნის საფრთხეს არასწორმა კომუნიკაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის იმიჯზე. მომსახურების დაბალი დონე და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის სამშობლოდ წოდებულ ქვეყანაზე და რეპუტაციას ულახავს მეღვინეობის 8 000 წლიან ისტორიას. იქიდან გამომდინარე, რომ ღვინის ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყნის არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ კულტურული განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს შესაბამიისმა სტრუქტურებმა ხელი შეუწყონ ან აკონტროლოს აღნიშნული სექტორი. სახელმწიფოს ჩარევა მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, რადგან პატარა კომპანიებს არ აქვთ შესაბამისი რესურსი მოამზადონ საკუთარი გიდები, ან რეკლამით ხელი შეუწყონ ეროვნული პროდუქტის ცნობადობის გაზრდას. დიდი საწარმოებს კი, რომლებსაც ფინანსური შეზღუდვები არ გააჩნიათ, ნაკლებად დაინტერესებულნი არიან ტურიზმის განვითარებაზე და ძირითადად ექსპორტზე არიან ორიენტირებული.

ქართული ღვინის ექსპორტი მუდმივად პროგრესირებს, 2019 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 38 ქვეყანაში 26 მილიონი ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, საიდანაც ყველაზე მეტი, 16 850 331 ბოთლი რუსეთში. ინფორმაციას ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.
2019წლის იანვარი-აპრილის პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს მასშტაბით ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 4%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 63,2 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 7%-ით მეტია. ქართული ღვინის ექსპორტის რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა ამერიკაში, ევროპასა და აზიაში.

აშშ - 108% - 219 713 ბოთლი, ჩინეთი - 22% - 2 192 025, პოლონეთი - 16% - 1 173 850, ისრაელი - 102% - 106 572, ბელარუსი - 88% - 604 076, საფრანგეთი - 81% - 43 938, მონღოლეთი - 72% - 106 452, კანადა - 70% - 66 960, ჰოლანდია - 37% - 40 930, ესტონეთი - 15% - 214 502, ლიეტუვა - 4% - 179 370, რუსეთი- 4% - 16 850 331. [19]

ღვინის ექსპორტმა საკმაოდ მარალ მაჩვენებელს მიაღწია, თუმცა მნიშვნელოვანია რაოდენობის ზრდის პარალელურად, ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესებაც. ღვინის ექსპორტის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა არამხოლოდ დიდი კომპანიებისა და სახელმწიფო შემოსავლები, არამედ ყველა მცირე მეწარმეს გაუჩნდა შესაძლებლობა გაზარდოს და გაამრავალფეროვნოს ბიზნესი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფასის გაზრდასთან დაკავშირებით და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ღვინის წარმოება უფრო მომგებიანი გახდეს.

19. http://www.tabula.ge/ge/story/148249-2019-tslis-ianvar-aprilshi-kvelaze-meti-16-850-331-botli-ghvino-rusetshi-eqsportirda

სათამაშო გართობის ინდუსტრია

ტურიზმი თანამედროვეობაში არამხოლოდ შემეცნებასთან, არამედ განტვირთვასა და გართობასთან ასოცირდება. ქვეყანამ რომლის ინტერესიც ტურიზმის განვითარებაა, უნდა იზრუნოს თავიდანვე სწორი მიმართულებით განვითარებაზე , იქიდან გამომდინარე რომ სათამაშო გართობის ინდუსტრიას დიდი მოგების მოტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკისთვის და მოქალაქეებისთვის, მთავრობამ უნდა მიიღოს საჭირო ზომები წაახალისოს გართობის ინდუსტრია. სათამაშო ტურიზმის აქტუალურობა და მის პერსპექტიულობა ნათლად ჩანს 2014 წლის საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის მატებით ჩინეთში, კონკრეტულად გართობის ცენტრი მაკაო, რომელიც ტურისტების რაოდენობით მე-5 ადგილზეა.[20]

ასევე, 2014 წელს „ საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველომ“ საქართველოში ჩატარებული კვლევის მონაცემი გამოაქვეყნა, რომელშიც განხილული იყო აზარტული თამაშების არსი, ბაზრის მახასიათებლები და ქართული კანონმდებლობის რეგულაციები. ანგარიშმა აჩვენა რომ თამაშების ბიზნესი კარგადაა განვითარებული და 2014 წელს აზარტული თამაშების ბიზნესის ბრუნვამ 658 მილიონი ლარი შეადგინა , აქედან კი ქვეყნის ბიუჯეტში 177.5 მილიონი ლარი გადაირიცხა, რაც ბიუჯეტის ნაერთი შემოსავლების 2.3 %-ს უდრის.

სათამაშო ბიზნესმა ბევრი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლის წყარო გაუჩინა. საქართველოს 6 დიდ ქალაქში და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში , აღნიშნული ბიზნესიდან მოსაკრებელის სახით შემოსავალმა საერთო წილის 24% შეადგინა. განსაკუთრებით მაღალი იყო მაჩვენებელი საზღვრისპირა დასახლებაში, ყაზბეგში (38.7%), ბათუმში (33.9%) და ზუგდიდიში (32.4%).

სათამშო ბიზნესის განვითარების მცდელობა კვლავ გრძელდება, მიუხედავად რთული სოციალური მდგომარეობისა და მაღალი გადასახადებისა. ქვეყანა მკაცრად აკონტროლებს ასაკობრივ შეზღუდვებს, რაც თავისთავად მიუთითებს კანონისა და ინტერესთა კონფლიქტის კომპლექსურ ხასიათს სხვადასხვა ჯგუფებში. მიუხედავად არსებული უარყოფითი წინაპირობისა, სათამაშო ბიზნესი ვითარდება და ქვეყნის გარკვეული პოლიტიკაა, რათა საქართველო გახდეს სათამაშო ცენტრი. ამ ფაქტს ადასტურებს რეგიონებში სათამაშო ობიექტების მშენებლობაზე აქტიური გაშუქება.უძრავი ქონება იყიდება წყალტუბოში, სადაც უნდა აშენდეს სასტუმრო, კაზინო და გასართობი ცენტრი. კაზინო გუდაურში ფუნქციონირებს როგორც სათამაშო ცენტრი, ასევე ბარი და ლაუნჯი. ქობულეთში 200 მილიონი ღირებულების კომპლექსი აშენდება. სადაც იქნება 5 სასტუმრო 220 ოთახით და ამერიკული კაზინო ლას-ვეგასი. ასე განაგრძობს განვითარებას გართობის ინდუსტრია საქართველოში.

20 . http://www2.unwto.org/

3.2 საქართველო, თავისუფალი ვაჭრობის ცენტრი ევროპასა და აზიას შორის

საქართველო უაღრესად სტრატეგიულ ადგილას მდებარეობს, რომელიც ემსახურება კავკასიასა და ცენტრალურ აზიას. საქართველო საიმედო დერეფანია კავკასიასა და ევროპასა და ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის არსებული ნაკადების მიმართ. ეს კონცეფცია საუკუნეების მანძილზე ისტორიული აბრეშუმის გზის მშენებლობას ეფუძნება, რაც საქართველოს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს აძლევს.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით შემოღებულ იქნა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი რაც გულისხმობს იმას, რომ შემცირდა ტარიფები იმბორტზე, არ არსებობს იმპორტ/ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები, იმპორტ/ექსპორტზე შემცირდა ლიცენზიებისა და ნებართვების საჭიროების რაოდენობა, ექსპორტზე არ არსებობს დამატებითი ღირებულების გადასახადები, არ არსებობს ექსპორტ/რეექსპორტზე საბაჟო გადასახადები და გამარტივდა სავაჭრო პროცედურები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეკონომიკური განვიტარებისთვის. შეთანხმება მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციას და ქვეყნისთვის იხსნებაევროკავშირის ბაზარი. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი. [21]

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 30%-ს, ხოლო ექსპორტისა - 20%-ს შეადგენს, რაც მუდმივად უარყოფით სავაჭრო ბალანსს განაპირობებს. სხვა (ძირითადად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი) ქვეყნებისგან განსხვავებით, ვაჭრობის, განსაკუთრებით კი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორებია, ერთი მხრივ, მაღალი ტარიფები, ხოლო, მეორე მხრივ, არასატარიფო ღონისძიებებით გამოწვეული დაბრკოლებები.

21.http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7

ამ კონტექსტში, 2013 წლის ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირება, როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირების პირველი ნაბიჯი, ხოლო მეორე მხრივ, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, როგორც ასოცირების შეთანხმების ნაწილი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს სავაჭრო ბარიერებს ქართული პროდუქციის გატანისას და შექმნის ახალ შესაძლებლობებს, როგორც საგარეო ვაჭრობის მომდევნო დივერსიფიცირებისა და განვითარების, ასევე ვაჭრობის შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდის თვალსაზრისით. წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-ს ამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 6,5%-მდე გაზრდას გამოიწვევს. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 13.5%-ით გაიზრდება. ყველაზე მაღალი - 55%-ით - ნავარაუდევია ტექსტილის წარმოების ზრდა, ხოლო ხილის, ბოსტნეულის, კვების პროდუქტებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ზრდა ნავარაუდევია 4%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ზაფხულში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ აუცილებელია შეთანხმების რატიფიცირება ევროპის ყველა წევრი ქვეყნის მიერ, რაც საკმაო დროს მოითხოვს. აღნიშნულ რატიფიცირებამდე ამოქმედდება შეთანხმების გარდამავალი დებულებები. DCFTA საბოლოოდ ჩაანაცვლებს GSP + პრეფერენციათა სისტემას, თუმცა, გარდამავალ პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს ორი რეჟიმი ერთდროულად იქნება ძალაში. [22]

საგადასახადო ტარიფების შეზღუდვა და ქვეყანაში ვაჭრობის ხელშეწყობა უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველს ხდის საქართველოს, თუმცა მოსალოდნელია რომ აქტივობა უფრო გაიზრდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტით როგორიცაა საქართველოში პირველი ღრმაწყლოვანი პორტის არსებობა.

საქართველოში პირველი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს, იგი აღჭურვილი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურით და მაღალი ხარისხის მომსახურებით. მისი პირველი ფაზის მშენებლობის დასრულებას 2020 წელში ვარაუდობენ. იგი 9 ფაზისგან იქნება შემდგარი და განთავსდება 1000 ჰექტარ ფართობზე, რისი მეშვეობიტაც შეძლებს 10 000 კონტეინერიანი გემების მიღებას. ის, რომ საქართველო ევროპასა და ჩინეთს შორის არსებულ ყველაზე მოკლე გზაზე მდებარეობს, ქვეყანას ტვირთის გადაზიდვის კარიბჭედ ხდის ცენტრალურ აზიასა და კავკასიის დანარჩენ რეგიონებს შორის.

ანაკლიის პორტი მოემსახურება ბაზრებს კავკასიის რეგიონში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), 17- მილიონიანი მომხმარებლით, ცენტრალურ აზიაში (ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი) და ჩრდილოეთ ირანში, ჯამში 147 მილიონი ადამიანით. [23]

---

22. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf

23.http://anakliadevelopment.com/ka/info/

კონსორციუმი „თიბისი ჰოლდინგისა“ და ამერიკული „კონტი ინტერნეიშენალის“ მიერაა დაფუძნებული. „თიბისი ჰოლდინგში“ ამერიკული კომპანიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ მალავენ. პროექტი ოკუპირებული აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ხორციელდება და ამერიკული კომპანიის თანამონაწილეობა რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

52 წლის შემდეგ, აღნაგობის უფლების თანახმად, პორტი სახელმწიფოს უბრუნდება. პირდაპირი ინვესტიცია $2.5 მლრდ. ჯამური ეკონომიკური სარგებელი - 60 მილიარდი დოლარი. საბოლოო გამტარუნარიანობა 2069 წლისთვის წელიწადში 100 მილიონი ტონა. 1000 ჰექტარი ფართობი და 16 მეტრი სიღრმე. მშენებლობის პროცესში 3400-ის, ოპერირების დაწყებისას 6400-ის, ხოლო საბოლოო ფაზის დასრულებისას 19000 ადამიანის დასაქმებაა დაგეგმილი. პირველი ფაზა, გეგმის მიხედვით, 2020 წელს უნდა დასრულდეს. [24]

საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, რკინიგზა მოაწესრიგოსი ისე რომ მისი ტვირთბრუნვამ ეტაპობრივად 100 მილიონ ტონამდე მიაღწიოს. მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს საგზაო ინფრასტრუქტურაც, რაზეც 2021წლისთვის 4 მილიონი დოლარის დახარჯვას ვარაუდობენ.

ანაკლიის პორტისთვის უმნიშვნელოვანესია ჩინეთის ფაქტორი. ამ სახელმწიფომ 2016 წელს $2.2 ტრილიონის ექსპორტი განახორციელა და მეორე ადგილზე მყოფ შტატებს $700 მილიარდით გადაუსწრო. 15 წლის წინ, 2002 წელს, ჩინეთის ექსპორტი $247 მილიარდს არ აღემატებოდა. ჩინეთის ეკონომიკა შენელებული ტემპით, მაგრამ მაინც დიდი ნაბიჯებით იზრდება. მეტი პროდუქტი საჭიროებს მეტ მარშრუტს, მეტ ახალ გზას. ტვირთების 1%-მაც რომ გაიაროს საქართველოზე, ეს უკვე $22 მილიარდია, რომლის ნაწილიც საქართველოში დაილექება. ამჟამად ჩინეთიდან ევროპაში ყოველწლიურად 340 მილიონი ტონა ტვირთი იგზავნება, საქართველოზე კი თითქმის არაფერი გადის. [25]

გარდა იმისა, რომ საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რითაც დიდი ფინანსური მოგების მიღება შეუძლია, მნიშვნელოვანია არ დავივიწყოთ საფრთხეებიც. ეს მცირე ქვეყანა წარმოადგენს ორი ვექტორის გზაჯვარედინს, რუსეთ-სომხეთის კავშირს რომელთანაც ირანიცაა დაკავშირებული და აზერბაიჯან-თურქეთს, რომლითაც ამერიკაა დაინრტერესებული. ბოლოდროს განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს რომ მდგომარეობა აღნიშნულ ქვეყნებში დაძაბულია. რა უნდა გააკეთოს ასეთმა მცირე სახელმწიფომ სუსტი შეიარაღებით თუ არა დიპლომატიური ურთიერთობის შენარჩუნება ყველა მხარესთან?! ან როგორ არის ეს შესაძლებელი თუ საქართველო მკაცრად აქვს აღებული დასავლური კურსი, სურს ნატოში შესვლა , მაშინ როცა

24.https://m2b.ge/post/173430-anakliis-rrmawylovani-porti-realuri-sargebeli

25. https://m2b.ge/post/173430-anakliis-rrmawylovani-porti-realuri-sargebeli

ამერიკა-თურქეთის ურთიერთობა დაძაბულია და მოსალოდნელია თურქეთმა ნატო დატოვოს, რის იმედი უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში საქართველოს როცა მეზობლად ნატოს წევრი ქვეყანა აღარ ეყოლება?. ანაკლიის პორტიც კი, რომელიც ასეთი იმედისმომცემია საქართველოს ეკონომიკური სარგებლის გასაზრდელად, კონკურენციას გაუწევს თურქეთს და თუ საქართველო გარკვეულ დათმობებზე არ წავა , მოსალოდნელია თურქეთთანაც გაჩნდეს უთანხმოებები.

  მიუხედავად იმის რომ საქართველო მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას ცდილობს საერთაშორისო ეკონომიკაში, იგი დიდი გამოწვევების წინაშე დგას და მნიშვნელოვანია ქვეყნის მმართველმა ძალამ სწორად შეაფასოს შესაძლებლობები და საფრთხეები. წარმატებული ახალგაზრდა სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნები რომლებიც ანალოგიური გამოწვევის წინაშე იდგნენ ცდილობდნენ ნაკლებად აქტიური ყოფილიყვნენ მსოფლიო პოლიტიკურ ურთიერთობებში და საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ მშვიდობისმყოფელთა ამპლუაში გამოჩენილიყვნენ, მათთვის განსაკუთრებისთ მნიშვნელოვანი იყო მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება, საერთაშორისო სამართლის და ქცევის ზნეობრივი ნორმების განმტკიცება. მცირე სახელმწიფოები რომლებსაც შეზღუდული თავდაცვითი მექანიზმები გააჩნდათ, მუდმივად ცდილობდნენ ძლიერი სახელმწიფოების მფარველობის ქვეშ მოხვედრას. ისინი არაპროპორციულად დიდ რესურსს ხარჯავენ უსაფრთხოებისა და გადარჩენისათვის. მნიშვნელოვანია საქართველომ გაითვალლისწინოს სხვა პატარა სახელმწიფოების მაგალიათები. ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან და მოერიდოს კომფლიქტებს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობა გამოიყენოს მაქსიმალურად, იმისათვის რომ გააძლიეროს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მჭიდრო კავშირი დაამყაროს ისეთ სახელმწიფოებთან ვისი იმედიც ექნება კონფლიქტურ სიტუაციებში.

    საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა და რესურსი, აამაღლოს საკუთარი მოსახლეობის ცხოვრების დონე და შეამციროს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი. თუ სახელმწიფო შეძლებს მაქსიმალურად გამოიყენოს თავისუფალი სავაჭრო სივრცე, ხელი შეუწყოს წარმოების და ექსპორტის მოცუობის ზრდას, იგი შეძლებს მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე.

თავი 4. კვლევა

საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს პოტენციალის დასადგენად, ჩატარდა კვლევა ინტერნეტის საშუალებით, გამიკითხა საქართველოს მოქალაქეების , ძირითადად საშუალო ასაკამდე სეგმენტი, რომლებსაც აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება და ამ ეტაპზე მათი უმრავლესობა დასაქმებულია ბიზნესის სხვადასხვა სექტორში.

კვლევის მიზანი - კვლევის მიზანია დაადგინოს საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულება ქვეყნის პერსპექტივების შესახებ. მათი აზრით, რით შეიძლება გახდეს საქართველო ცნობადი, როგორ შეიძლება დაიმკვიდროს თავი საერთაშორისო ბაზარზე, რომელ ქვეყნებს თვლიან ყველაზე წარმატებულად და რა უნდა გააკეთოს საქართველომ არსებული სირთულეების გადასალახად.

კვლევის ობიექტი - კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეები, რომლებიც დასაქმებული არიან სხვადასხვა ბიზნეს სექტრში, მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და გარკვეულ ცოდნას ფლობენ საერთაშორისო ბაზრის შესახებ.

კვლევის საგანი - კვლევის საგანია ნათელყოს საზოგადოების მიდგომა ქვეყნის პოტენციალის შესახებ. ქართულ ბაზარზე დასაქმებულების აზრი ამჟამინდელი მდგომარეობის და მომავალში განსავითარებელი სექტორების შესახებ. რა რესურსი გააჩინა ქვეყანას თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზარზე.

კვლევის მეთოდოლოგია - კვლევისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ რაოდენობრივი მეთოდი თანამედროვეობაში ფართოდაა გავრცელებული და ხშირად გამოიყენებენ კვლევის ყველა მიმართულებით. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი მიჩნეულია საიმედო ტექნიკად, რომელიც კარგადაა გამართული სტრუქტურული თვალსაზრისით და უკედაა ორგანიზებული, ვიდრე სახვა კვლევის მეთოდები.

ნაშრომში მოცემულმა კვლევამ, საშუალება მოგვცა სანდო ინფორმაცია მივიღოთ არსებული მდგომარეობის შესახებ და დაგვეზუსტებინა რომელი სექტორი ეიმედება ქვეყანის მოსახლეობას.

კვლევის გეოგრაფიული არეალი - კვლევაში გამოკითხულ იქნა 110 ადამიანი ქალაქ თბილისში.

კვლევის შედეგი - კვლევის რეზულტატმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას ყველაზე განვითარებულ ქვეყნად ჩინეთი მიაჩნია, საზოგადოების აზრით ჩინეთის შემდეგ მეორე და მესამე ადგილს ჰოლანდია და ევროპის განვითარებული ქვეყნები იკავებენ.

გამოკითხულთა აზრით განვითარებული ქვეყნების წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე სწორი მარკეტინგული სტრატეგიები და ქვეყნის რესურსები განაპირობებს.

კვლევამ ნათლად აჩვენა საზოგადოების აზრი საქართველოს მდებარეობის შესახებ მსოფლიო ბაზრის რუკაზე. გამოკითხულთა 64.8% ფიქრობს რომ საქართველოს ნელ-ნელა იცნობენ საერთაშორისო ბაზარზე დანარჩენი კი აღნიშნავს, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ არ ჩანს მსოფლიო ბაზრის რუკაზე. კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა თვლის რომ საქართველო ახლა დგამს სწორ ნაბიჯებს საერთაშორისო ბაზარზე დასამკვიდრებლად. ქვეყნის ცნობადობის გასაზრდელად კი ტურიზმი და მეღვინეობა მიაჩნიათ პერსპექტიულად. საზოგადოება თვლის რომ საჭიროა საქართველოში გაუმჯობესდეს მომსახურების სფერო , განვითარდეს ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი და გაკეთდეს ბევრი სარეკლამო რგოლი, რომელიც დააინტერესებს სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ერთხელ მაინც ესტუმრონ საქართველოს.

კვლევაში მონაწილეობა 110 რესპოდენტმა მიიღო და შედეგები ასახულია დიაგრამებზე.



რაოდენორივ კვლევაში მონაწილეტა ასაკის შედეგები ასახულია დიაგრამაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ რესპოდენტების 64.5 % შეადგენს 20-30 წლამდე ასაკის ადამიანებს. 21.8 % მიეკუთვნება 30-40 წელს. დანარჩენი 13.6 % გადაცილებულია 40 წლის ასაკს.

2. სქესი

110 პასუხი



გამოკითხულთა 60.9 % მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან, დანარჩენი 39.1% - კი მამრობით სქესს მიეკუთვნებიან.

3. მსოფლიოს რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ ყველაზე წარმატებულად, საერთაშორისო ბაზარზე?

108 პასუხი



რესპოდენტების 44.4% მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე წარმატებული ქვეყანა ჩინეთია. გამოკითხულთა 25.9% აღნიშნა, რომ ამერიკაა ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ბაზარზე. 22.2% ევროპის განვითარებულ ქვეყნებს ასახელებს. დანარჩენების აზრი იყოფა, ისინი იაპონიას, კანადას, ჰოლანდიას, ავსტრიას და შვეიცარიას მიიჩნევენ.

4. რა უზრუნველყოფს, თქვენ მიერ შერჩეული ქვეყნის წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე?

109 პასუხი



როგორც მე-3 დიაგრამა გვიჩვენებს, გამოკითხულთა უმრავლესობამ ჩინეთი დაასახელა ყველაზე წარმატებულ ქვეყნად საერთაშორისო ბაზარზე, მეორე და მესამე ადგილი კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპის განვითარებულმა ქვეყნებმა დაიკავეს. საინტერესო აღმოჩნდა რესპოდენტების აზრი, რამ განაპირობა აღნიშნული ქვეყნების წარმატება, მათი უმრავლესობა, 56 % მიიჩნევს, რომ წარმატებას, საერთაშორისო ბაზარზე სწორი მარკეტინგული სტრატეგიები წარმოადგენს. 29.4 % ქვეყნის წარმატების ფაქტორად რესურსებს ასახელებს. კვლევაში მონაწილეთა დანარჩენი % მიიჩნევს, რომ წარმატებას ცნობადობა განაპირობებს, მათი აზრით მნიშვნელოვანია აპოლიტიკურობაც, ასევე ტექნოლოგიური ინდუსტრიის სწრაფი ზრდა, შრომისმოყვარეობა, იაფი მუშა ხელი და განათლების მაღალი დონე.

5. სად მდებარეობს საქართველო მსოფლიო ბაზრის რუქაზე?

108 პასუხი



კვლევაში მონაწილეთა 64.8% მიიჩნევს, რომ საქართველოს ნელ-ნელა იცნობენ საერთაშორისო ბაზარზე. 28,7% აღნიშნავს, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ არ ჩანს მსოფლიო ბაზრის რუკაზე. დანარჩენი გამოკითხულთა აზრით კი საქართველო დიდი ხანია ბაზარზეა, მათი აზრით ბაზარი უკვე იცნობს საქართველოს ისეთ პროდუქციას როგორიცაა ნედლეული, ფოლადები, თხილი, ღვინო და ა.შ.

6. საერთაშორისო ბაზარზე გასვლის რა პერსპექტივები აქვს საქართველოს?

99 პასუხი



გამოკითხულთა 49,5% მიაჩნია, რომ საქართველო ახლა დგამს სწორ ნაბიჯებს საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. 17.2% თვლის რომ უკვე სასურველი ქვეყანაა საერთაშორისო ასპარეზზე. 14.1% აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს საერთაშორისო ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად.

7. რა უზრუნველყოფს საქართველოს ცნობადობას საერთაშორისო ბაზარზე?

109 პასუხი



რესპოდენტების 42.2% აღნიშნავს რომ საქართველოს ცნობადობას საერთაშორისო ბაზარზე ტურიზმი განაპირობებს. 29.4% მიიჩნევს, რომ ღვინის ექსპორტის ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის ცნობადობის გაზრდაზე. 9.2 % ქართული გასტრონომია მიაჩნია პერსპექტიულად. გამოკითხულების დანარჩენი ნაწილის აზრით კი ცნობდობის გასაზრდელად სამივე სექტორი მნიშვნელოვანია.

8. რა არის საჭირო საქართველოს ცნობადობის გაზრდისთვის საერთაშორისო ბაზარზე?

107 პასუხი



კველევაში მონაწილეთა უმრავლესობამ 44.9% ცნობადობის გაზრდის მიზნით მომსახურების სფეროს განვითარება დაასახელა. 35.5% აღნიშნავს,რომ უნდა განვითარედეს ტურიზმი. 8.4% აზრით სარეკლამო კლიპების გადაღებაა საჭირო.

თავი 5. დასკვნა.

საქართველო მსოფლიოს 232 ქვეყნიდან, 69 700 კმ² ფართობით, 121-ე ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, საზოგადოების ნაწილი დღემდე თვლის, რომ სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მისი პატარა ფართობია. [26] აღნიშნული აზრის საწინააღმდეგოდ განვიხილეთ მრავალი ქვეყნის მაგალითი და დავრწმუნდით იმაში, რომ ქვეყნის წარმატებულობას ფართობის სიმცირე ან შეიარაღების სისუსტე არ განაპირობებს. ამის დასამტკიცებლად, კიდევ ერთხელ მოვიყვანთ მცირე მაგალითს.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს და საქართველოს ბევრი საერთო აქვთ, ოთხივე ქვეყანა წლების მანძილზე იყო საბჭოთაკავშირის გავლენის ქვეშ, ოთხივეს მეზობელი ქვეყანა რუსეთია, თითქმის ერთდროულად მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ოთხივემ განიცადა უხეში დემოგრაფიული ჩარევა. აღნიშნული ქვეყნები: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და საქართველო ტერიტორიულად მცირე სახელმწიფოები არიან და მოსახლეობით საქართველო ოდნავ უსწრებს დანარჩენ 3 ქვეყანას. მიუხედავად ამისა, ბალტიისპირეთის ქვეყნები 2004 წლიდან ნატოსა და ევროკავშირის წევრები გახდნენ და მტკიცედ განაგრძობენ წარმატებისკენ მიმავალ გზას.

რამ განაპირობა ეს? მიუხედავად განვლილი სირთულეებისა, აღნიშნულ ქვეყნებში შენარჩუნდა პატრიოტიზმი, ხალხი და ხელისუფლება პირნათლად ემსახურება ქვეყნის ინტერესებს, მაქსიმალურად გამოიყენეს და განავითარეს ქვეყნის რესურსები, სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, უმოკლეს დროში დაუჯერებელ შედეგებს მიაღწიეს და დღეს სამივე ქვეყანაში ცხოვრების დონე ბევრად მაღალია ვიდრე საქართველოში.

---

26. https://on.ge/story/19164-10-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98

ქვეყანა	ლიტვა	ლატვია	ესტონეთი	საქართველო
ფართობი (ათასი კმ$^{2)}$	65.3	64.6	45.2	96.7
მოსახლეობა (2ლნ)	2.9	1.9	1.3	3.7
მშპ ნომინალური (აშშ დოლარი)	14 900	14 100	17 600	3900
მშპ PPP (აშშ დოლარი)	30 000	26 000	29 400	10 000
HDI (პოზიცია)	37	44	30	70
მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (პოზიცია)	41	54	29	67
საკუთრების უფლება	68	87	28	46
ინტელექტუალური საკუთრების უფლება	62	68	25	95
სასამართლოს დამოუკიდებლობა	56	83	18	87
საკრედიტო რეიტინგი	39	38	24	81
ინფრასტრუქტურული გარემო	29	59	20	76
განათლების სიტემა	73	68	23	107
უახლეს ტექნოლოგიებზე წვდომა	31	41	25	111
ინტერნეტმომხმარებელთა ოდენობა	74%	80%	84%	50%

[27]

ზემოაღნიშნული გვარწმუნებს იმაში, რომ მდიდარი შეიძლება იყოს კომფლიქტორი მეზობლის მქონე ქვეყანა, რესურსებით ღარიბი და ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრიც. მთავარია ქვეყანა გახდეს მოქნილი დროისა და სივრცის ცვლილების მიუხედავად, შეინარჩუნოს პოლიტიკური სტაბილურობა, იყოს დიპლომატიური კომფლიქტურ სიტუაციებში, აამაღლოს განათლების დონე, იყოს გახსნილი სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში, მზად იყოს ცვლილებებისთვის და ჰქონდეს მიმღეობა აითვისოს კარგი, სხვა ქვეყნების მაგალითზე. მნიშვნელოვანია, კორუფცია იყოს დაბალი, კანონი იყოს სამართლიანი ქვეყნის მოქალაქეებისა და სტუმრების მიმართ.

კვლევაში ასახულია, რა რესურსები უნდა განავითაროს საქართველომ იმისთვის , რომ თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზარზე. ნაშრომში განხილულია მხოლოდ: ენერგეტიკა, ტურიზმი, უძრავი ქონება, მეღვინეობა, სათამაშო გართობის ინდუსტრია, სატრანზტო პოტენციალი. ყოველივე ეს მცირედია იმ რესურსებიდან რომელიც საქართველოს გააჩნია. ქვეყნის მრავალფეროვანი, გეოგრაფიული თუ კულტურული მახასიათებელი ყოველმხრივ უნიკალურია და მნიშვნელოვანია სწორად იქნას გამოყენებული ეკონომიკური განვითარების მიზნით.

27. http://geoeconomics.ge/?p=11912&fbclid=IwAR2stg3N2C8zqJQ-sGyeBLgmlJb93bt7XODajZoCPMvwjSUuh2Wge1kM12g

იმისათვის, რომ ქვეყნის მიმართ ინტერესი გაიზარდოს, ეკონომიკა გაძლიერდეს და საქართველომ თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზარზე, გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის:

- მმართველმა ძალამ უნდა უზრუნველყოს ბიზნეს სექტორის დამოუკიდებლობა.
- ხელი შეუწყოს მწარმოებლურიბის ამაღლებას და თანამედროვე სტანდარტების დანერგვას.
- შეამციროს გადასახადები.
- ხელი შეუწყოს ახალი სამეწარმეო ნიჭის განვითარებას.
- შეიმუშაოს გრძელვადიანი გეგმები სოფლის მეურნეობის განსავითარებლად ექპორტის გაზრდის მიზნით.
- მუდმივად განახორციელოს სიღარიბის დაძლევის ღონისძიებები.
- წაახალისოს მცირე და საშუალო ბიზნესი.
- გააუმჯობესოს მომსახურების სფერო.
- იზრუნოს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.
- შეამციროს ქვეყნის საგარეო ვალები.
- შეამციროს კორუფცია.
- იზრუნოს მოქალაქეების ცხოვერების დონის ამაღლებაზე.

საბოლოოდ შემიძლია აღვნიშნო, რომ თუ პატარა ქვეყანა აირჩევს სწორ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიას, იგი შეძლებს მნიშვნელოვანი გახდეს დანარჩენი მსოფლიოსთვის. ნაშრომში განხილულია ბევრი წარმატებული მცირე სახელმწიფოს მაგალითი, რომლებმაც შეძლეს საერთაშორისო ბაზარზე პოზიციონირება. საქართველოს ნამდვილად გააჩნია საკმარისი რესურსი გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე. სწორი მარკეტინგული კამპანია გაზრდის ქვეყნის ცნობადობას და სხვა ქვეყნების ინტერესს საქართველოს რესურსების მიმართ.

თავი 6. გამოყენებული ლიტერატურა

1. Michael W. Mosser, ,,Engineering Influence: the Subtle Power of Small States in the CSCE?OSCE", paper presented at the workshop on ,,Small States and Alliances", Austrian Defense Academy, Vienna, 25-27 November 1999, p. 3
2. Erling Bjol, ,,Small States in International Politics", in Schou et al., Small States, 9.
3. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL3.1.6&d=HASH011d8dcef9e5ffa0469c4593.12&gt=1
4. H. Goldhammer, *The Foreign Powers in Latin America,* (Princeton, Princeton University Press, 1972): 237
5. ენდრიუ. 1971,69
6. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90
7. https://rus.err.ee/921529/jekonomika-jestonii-ohlazhdaetsja
8. http://documents.worldbank.org/curated/en/879301468130822443/pdf/896060GEORGIAN0409B0CEM0GEO0for0WEB.pdf
9. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf
10. http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo
11. http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo
12. http://eugeorgia.info/ka/vid/66/bio-warmoeba-saqartveloshi-/
13. https://www.ambebi.ge/article/141909-top-8-produkti-romelic-sakartvelodan-eksportze-gadis-ras-moakvs-miliardebi/
14. საქართველოს ეკონომიკა. მონოგრაფია რ. ასათიანის რედაქციით. გამომცემლობა ,,სიახლე''. თბ., 2012, გვ.169.
15. http://batumelebi.netgazeti.ge/news/163814/
16. http://kvira.ge/450703
17. http://agrokavkaz.ge/agroplus/saqarthvelo-meghvineobis-8000-tsliani-utsqhveti-traditsia.html
18. https://sputnik-georgia.com/georgia/20170911/237293279/saqartvelo-gvinis-samshobloa.html
19. http://www.tabula.ge/ge/story/148249-2019-tslis-ianvar-aprilshi-kvelaze-meti-16-850-331-botli-ghvino-rusetshi-eqsportirda
20. http://www2.unwto.org/
21. http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7
22. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf
23. http://anakliadevelopment.com/ka/info/
24. https://m2b.ge/post/173430-anakliis-rrmawylovani-porti-realuri-sargebeli
25. https://m2b.ge/post/173430-anakliis-rrmawylovani-porti-realuri-sargebeli
26. https://on.ge/story/19164-10-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%

83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-
%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90-
%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%
83%A8%E1%83%98

27. http://geoeconomics.ge/?p=11912&fbclid=IwAR2stg3N2C8zqJQ-
sGyeBLgmlJb93bt7XODajZoCPMvwjSUuh2Wge1kM12g

- http://sabauri.coa.ge/?id=5
- http://mfa.gov.ge/News/mikheil-janelidze-saqartvelo-kargi-magalitia-tu-ro.aspx
- https://on.ge/about/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A1%E1%83%90
%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-
%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%8
3%98
- https://www.ara.cat/2014/08/05/1187961194.pdf?hash=f2b1f4ba8c1b6bd92a473d05791bfb8f
dad50e60
- http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0--
-0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-
00&cl=CL3.1.6&d=HASH011d8dcef9e5ffa0469c4593.12&x=1
- http://www.traderready.ca/2016/topics/researchdevelopment/10-small-countries-major-
players-international-trade-world/
- https://www.swissinfo.ch/eng/opinion_why-small-countries-are-often-successful/41389082
- https://www.credit-suisse.com/corporate/en/articles/news-and-expertise/economic-lessons-from-small-
countries-201504.html
- https://on.ge/story/6415-
%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%
83%98%E1%83%A1-
%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%
83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-
%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9A%E1%
83%98
- http://eugeorgia.info/ka/articleblog/48/estoneti-qveyana--warmatebis-magaliti/
- https://presa.ge/?m=&AID=3703
- https://www.export.gov/article?id=Georgia-Market-Overview
- https://www.radiotavisupleba.ge/a/wine-tourism-in-georgia/24772680.html
- http://georgiatoday.ge/news/15218/Georgian-Wine-Shows-Great-Potential-on-the-Japanese-
Market
- http://georgianwine.gov.ge/Ge/News/511
- http://www.fao.org/3/CA1002EN/ca1002en.pdf
- http://forbes.ge/blog/273/postsabWoTa-qveynebis-Sedareba
- http://geoeconomics.ge/?p=3622
- http://geoeconomics.ge/?p=11912&fbclid=IwAR2stg3N2C8zqJQ-
sGyeBLgmlJb93bt7XODajZoCPMvwjSUuh2Wge1kM12g